

# დემოკრატიული საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
AVRIL  
1929—№ 40

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—«რუსეთის ნაფთი.  
კაჟი—რით მოვიდა ჩვენში რუსეთი.  
დ. შ.—მაშინ და დღეს (ისტორ. პარალელი).  
ბ. არიძე—თვითგამორკვევა თუ «ვაზორ. შოვინ.»  
ხ. შავიშვილი—საბჭ. პოლიტ. სამარ. დამ. შვიცი.

ია—პურის სკანდალი.  
რას სწერენ ბოლშევიკებზე.  
რ. ინგილო—წერილი რედაქციის მიმართ.  
გვრისკელი წერილი სპარსეთიდან.  
გრ. ურატაძე—საჭირო განმარტება. და სხვ.

## „ რ უ ს ი ს ნ ა ფ თ ი “

ხმაურობა ლონდონში დადებულ პირობის გამო ჯერეც არ შეწყვეტილა. ყველაზე მეტს ისევ საბჭოთა პრესა ხმაურობს. გამარჯვება და ასეთი!—გაპკივის იგი. პირობაზედ ხელს აწერს «ანგლო-პერსიან»-იცო, ვითომ ესლა აღმოჩინოს «იზვესტიას», და დასძენს —ამ საზოგადოებაში ხომ ინგლისის მთავრობასაც უდევს წილი. კი არ უდევს, პორთფელიც მას უჭირავს ხელში, ე. ი. აქციების ნახევარზე მეტი სახლავა უწყებას ეკუთვნის. მაშასადამე, ასკენის წიგნით მოსკოვის ოფიციაში, ინგლისის მთავრობა ჩვენთან მორიგების გუნებაზეა.

ჯერ ერთი, დიდი სიბრძნევე იყო იმის დაშვება, ვითომ ინგლისის მთავრობის დაუკითხავათ შეეკვროდნენ მოსკოვს, თუ გინდ კონტრაგენტად «ანგლო-პერსიან» სულაც არ ყოფილიყო. ასეთი არ არის სიტის ადათი და მისი განწყობილება საგარეო სამინისტროსთან. მეორე, სახეიშო ამაში არამც თუ არაფერია, არამედ, პირიქით, ცხად ჰყოფს, ვის კარნახს დაემორჩილა ბოლოს და ბოლოს მოსკოვი.

რამი მდგომარეობს ეს კარნახი? იმაში, რომ მოსკოვმა იცნო დე-ფაქტო ბაქო-გროზნის მრეწველთა კერძო საკუთრება! დე-იურე არ მიცნვია—ლანწლანდრობს მოსკოვი—, მაგრამ არ იცის განა, რას ნიშნავს ფაქტი ანგლო-საქსების თვალში? შვიდ ნახევარი პროცენტი, რომელიც მას დააკლებიეს მსოფლიო ბაზრის ფასებზე, განა ფაქტი არ არის? აბა უარყვს ეს! ამის გამბედაობა არ შესწევს, პირობაზედ ხელი უწერია, იცის ვისთვის დაუკლეს, ვის უნდა უხადოს ვადის გასვლამდე...

მოგონეთ, ამერიკელ საელჩოში საზოგადოებასაც მოუწერა მოსკოვმა ხელი, რომ გადიხდის მის წარალს-ვალს შესრულებულ დაკვეთების ფასების გაბერვით. ნაფთის პირობა კი მეორეა ამავე ხასია-

თის, იმ განსხვავებით, რომ ამერიკელებისგან მოსკოვი საელჩოში მასალას ყიდულობს და ფასს უმატებს, ხოლო ინგლისელებს თვითონ ყიდის ნაფთს და ფასს უკლებს. საქმის ნამდვილი ვითარების გაყალბება იმისთვის ეჭივრება მოსკოვს, რომ თვალი აუხვიოს თავის მრევლს, ვითომ ნაციონალიზაციის დეკრეტი ხელუხლებელია...

მაგრამ არის მეორე უფრო მძიმე გაყალბებაც, რომელიც ენება კავკასიის ერებს, და ჩვენც ამაზედ გვინდა ამ ეჟად მკითხველის ყურადღება შევნიშროთ. სიმდიდრეს, რომლითაც მოსკოვი ვაჭრობს, ეძახიან «რუსის ნაფთს», ხოლო უკანასკნელი ამაოქეთ ორ მეზობელ ერის მიწიდან. ჩვენ ვიცით კიდევ რადეკის სიტყვებიდან, რომ საქართველოც ნაფთს შეეწირა უმთავრესათ, როგორც ზა და სადენი ამ ნივთიერებისა უცხოეთისაკენ.

დაუშვით ერთი წუთით, რომ კავკასია არ დაუკავებია წითელ არმიას, შეეძლო თუ არა საბჭოთა რეჟიმს ებოგნა აქამდის? ძალიან სავსეა. რკინის-გზით მომოსვლა დადგებოდა ან პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა, ასევე მოუვიდოდა მრეწველობის ბევრ დარგს. აქედან რუსეთის მნიშვნელობა, როგორც სამხედრო ძალისა, ერთი ორათ დაიწვედა, იგი ვერ გახდებოდა საშიშროება მშვიდობიანობისათვის. იმავე დროს ასეული მილიონები, უცხო ვალიუტის სახით, როგორც გატანილ ნაფთის საფასური, დააკლდებოდა მოსკოვის ისედაც მკლვე სალოარს...

ჩვენ არ გვინდა გავაგრძელოთ ეს დაშვებანი, საკმარისია მხოლოდ აქედან ერთი უდაო დასკვნა გავაკეთოთ: უცხოელნი. ვინც მოსკოვთან ვაჭრობენ ხელს უწყობენ საშინელი რეჟიმის გამძლეობას, მის მძინვარებას შიგნით, დამრღვევ მუშაობას გარეთ.

მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია კავკასიის ერთა მდგომარეობა. როგორ გნებავთ, რომ ისინი გულგრილად უყურებდნენ რაც ხდება? თითქო არ კმარა, რომ ისინი გმინავენ უცხო ოკუპაციის ქვეშ, აგერ 8-9 წელია, მათი ეკონომიური და გონებრივი განვითარება საშიშარ დონეზეა ჩამოქვეითებული, ახალ თაობის წნეობრივი გახრწნა ცუდ მომავალს უმზადებს მთელს მხარეს... და ამ უმწყო მდგომარეობაში მათი მთავარი სიმდიდრე—ნაფთი ჩალის ფასად გააქვთ უცხოეთში, რათა კიდევ მეტი საშუალება მიეცეს მოსკოვს მათ წასახრობათ!

კავკასიის ერთა ეს სისტემატიური დარბევა ფართე შარა-გზაზედ მით უფრო ოდიოზურ ხასიათს იღებს, რომ მის ქონებას სხვის საკუთრებად აცხადებენ! მერმე, როდის იქცა ბაქო-გროზნის ნაფთი «რუსის ნაფთად»? რა უფლებით იჩემებენ ჩვენს სიმდიდრეს მოსკოვი და მასთან ერთათ მთელი რუსის ემიგრაცია?

გავსინჯოთ მათი საბუთები. კავკასიის ნაფთის წარმოება—ამბობენ რუსები—დაიწყო და განვითარდა რუსეთის მფლობელობის დროს. ვსთქვათ, ეს ასეა, მაგრამ განა ვის გაუგონია, რომ ამისათვის დაპყრობი დაპყრობილთა ავლა-დიდების პატრონად გამოეცხადებოთ? ასეთი წარმოდგენაც არსებობდა უფლებზე, ჩვენ არ უარეყოფთ, ფეოდალურ და დესპოტიურ ხანაში, მაგრამ ვინ ემყარება დღეს მასზედ განათლებულ მსოფლიოში? ან იქნება კავკასიის ოთხ რესპუბლიკაში ისე დიდია რუსების მოსახლეობა, რომ მას შეუძლია დაიხმოს ეს უფლება? არაფერი ამის მზგავსი: ისე ცოტაა და უჩინარი რუსის ელემენტი ამ ქვეყნებში, რომ მასზედ შეჩერებაც არა ღირს.

მაშ რაშია საქმე? ჩვენ მოვაწყვეთ წარმოება, გავიყვანეთ რკინის-გზა, ნაფთ-სადენი, გავიჩინეთ რეზერვუარებიო—მოჰყავთ საბუთად იმავე რუსებს. ეგეც სიცრუე და მერმე როგორი? დაუშვებელი, ყველასათვის აშკარა. მართლაც და, ვინ არ იცის, რომ ყველა დასახელებული გაუმჯობესობანი შექმნილია უცხოელების და ნაწილობრივ ადგილობრივ მცხოვრებთა კაპიტალით. საერთოთ რომ ავიღოთ, აი როგორია მონაწილეობის პროპორცია: ბაქოში უცხოელთ ეკუთვნოდათ 70 პროც. წარმოებისა. ადგილობრივ მრეწველებს—20 პროც., ხოლო რუსებს უწევდათ 10 პროც. გროზნაში თითქმის მთელი წარმოება უცხოელების ხელში იყო—95 პროც., ადგილობრივთა ხელში—4 პროცენ. და რუსების მონაწილეობა კი ერთ პროცენტსაც არ აღწევდა! რა უნდა ესთქვათ რკინის-გზაზე, ნაფთ-სადენზე, რეზერვუარებზე? ეგეც ხომ უცხოელი კაპიტალით არის აშენებული! უფრო გვიან, მართალია, ყველა ეს გამოიყიდა საიმპერიო ხაზინამ, მაგრამ საიდან? იმავე ამიერ-კავკასიის რკინის-გზიდან. უდაოა ხომ, რომ ეს გზა პირველი იყო, მომგებიანობის მხრივ, მთელს იმპერიაში?

ღარჩა კიდევ ერთი საბუთი, ყველაზე ძლიერი! განა დაგავიწყდათ—გვეკითხებიან რუსები—, რომ იმპერიამ დაამყარა კავკასიაში მშვიდობა, გიცავდათ, კულტურულათ აწვიათ? როგორც ხედავთ, საქმე ხიშტენ მიდგა! დიახ, იმპერია იცავდა კავკასიას,

აქცია იგი თავის დამპყრობით პოლიტიკის პლაცდარმად მცირე და წინა ხზისაკენ. ამისათვის მას გავყავდა სტრატეგიული გზები, აკეთებდა ხიდეებს, ამგარებდა ციხეებს და ნავთსადგურებს, აშენებდა ყაზარმებს და შიდ აყენებდა მრავალ კოროპუსებს. მაგრამ რა შუაშია აქ კავკასიის ერები? მათ შორის მშვიდობა დავამყარეთ,—მაშ ვინ დაატკა ერთმანეთს სომხები და თათრები, ვინ დაალვრეინა მათ ზღვა-სისხლი? კულტურულათ აწვითეთ,—მაშ ვინ სდევნიდა მათ ენას, მწერლობას, სკოლას, ეკლესიას?

რუსის ხიშტი ბაქო-გროზნის წარმოებასაც იცავდა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ იგივე წარმოება დაუშრეტელი და, არაყის შემდეგ, მეორე უდიდესი წყარო იყო საიმპერიო ხაზინის შესავსებათ? ბაქოს რაიონში ნავთიანი ადგილებიც სახაზინოთ გამოაცხადეს და აყარეს მესაკუთრე გლეხები. იქნება ეგეებიც მეტი საბუთი იყოს ბაქოს ნაფთის «რუსის ნაფთად» მოსანათლავათ!

ამ რიგათ, რომელი მხრიდანაც არ უნდა მიუღვთ საკითხს, პასუხი ერთი და იგივეა: მოსკოვს, ისე როგორც წინეთ პეტერბურგს, ხელი არა აქვს კავკასიის სიმდიდრეზე და ერთად ერთი მისი «საბუთი» ხიშტია და ძალმომრეობა.

მაგრამ აქ არის ერთი მომენტიც, რომელიც არ უნდა გამოგვჩეხს. ბაქო-გროზნის ადგილობრივი მრეწველებიც, სომხები და თათრები, ცოტა არ იყოს, საეჭვო როლს თამაშობენ მენაფთეთა საერთაშორისო კომბინაციებში. უკანასკნელი ხელშეკრულება, მაგალითათ, გულისხმობს ძველ მრეწველთა დაკმაყოფილებას, რომელიც, ზოგიერთი ხარჯების გამოკლებით, 5 პროც. ვარაუდობენ (ინგლისში შეტანილ ნაფთის საბაზრო ფასზე, სულ 7 ნახევარიც, როგორც დავინახეთ). მაშასადამე, ადგილობრივ მრეწველებს ამ საერთო 5-პროცენტთან ჯამიდან ერგებათ, მათი მონაწილეობის მიხედვით ბაქოში, 20 პროც. გამოდის, ამ რიგათ, რომ სომხის და თათრის მრეწველებიც მონაწილეობენ, არაპირდაპირ, რეჟიმის გამაგრებაში!

მათ შეუძლიათ სთქვან და ამბობენ კიდევ, რომ მოსკოვის მიერ კერძო საკუთრების დე ფაქტო ცნობა კარგი საქმეაო. თან უცხოელთა დანიტერესება კავკასიის ნაფთის მრეწველობაში პოლიტიკურათ გამოვგადებდაო. ინგლისის «შელ და როიოლ დატჩ და ანგლო-პერშიან»-ის კომპანიები შეთანხმებულია ამერიკის «სტანდარდ ოილთან», მათ უკვე შეკრეს საერთაშორისო მთლიანი ფონტი, რომელიც დააჩოქებს კრემლის სტუმრებს და აიძულებს მათ, აღრე თუ გვიან, მრეწველნი თვით წარმოებაშიც დაუშვანო...

ყველა ეს ფრიად საგულისხმიერო ფაქტებია თუ ტენდენციები, ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ მათ უარყოფას. მაგრამ ბურჟუაზიას რაღაც სხვა ვალდებულება აწევს ერის წინაშე. თავის ჯიბის დაცვა საძრახი საქმე არ არის, ზოგჯერ კანონიერიცაა, მაგრამ კავკასიის ბურჟუაზიამ უნდა გაუწიოს ანგარიში კავკასიის ერთა განსაკუთრებულ მდგომარეობას. თუ ის თავის საკუთრებაზე ზრუნავს, ეს ერები

ხომ უპირველესი მესაკუთრენი არიან მთელი იმ ტერიტორიებისა, საიდანაც ნაფთი ამოაქვთ, ხოლო მრეწველები—მოიჯარადრენი.

ჩვენ ვიცით, ჰუკასიანები «რუსის ნაფთად» სთვლიან ამ სიმდიდრეს და მოწაბრებულნი არიან კავკასია რუსეთს შერჩეს. მაგრამ კითხვას სწევებენ არა ისინი, არამედ სხვა, მათზე ძლიერი ფაქტორები, რომელთა შორის კავკასიის ერთა ნების-ყოფაც რალაცას იწონის. კავკასიის ერები ისე არ დაჩაჩანაკებულან, რომ თვით საერთაშორისო მასშტაბშიც ვერ აგებინონ მათ პასუხი თავის დროზე.

ეგ კი ჰქმნის უდიდეს პასუხისმგებლობას კავკასიის ერთა ოფიციალურ წარმომადგენლებისთვის.

სანამ ჩვენი ერები გმინავენ უცხოეთის უფლის ქვეშ და არ შეუძლიათ სმა ამოიღონ მათი ქონების გაფლანგვის წინააღმდეგ, მათ წარმომადგენლებს უცხოეთში ევალებათ ღირსეულად გამოიყენონ ის მანდატები, რომელიც მათ მიუღიათ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების კანონიერ მთავრობებისგან.

რას აკეთებენ ისინი? ჩვენ ვეკითხებით, პირველ ყოვლისა, აზერბეიჯანის და მთის დელეგაციებს, რომელთა მიწა-წყალზედ ხდება მთელი ეს ვაჭანაღია, რა ზომები მიიღეს მათ, რა ნაბიჯები გადადგეს?

რ ი თ მ ო ვ ი დ ა ჩ ვ ე ნ შ ი რ უ ს ე თ ი

V.

ესლა ვნახათ, რა გააკეთა ჩვენში რუსეთმა კულტურის მხრით და როგორ ესმარებოდა იგი მკვიდრ ერებს ამ დარგში.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთმა მხოლოდ კავკასიაში დამკვიდრების ხანაში დაიწყო კულტურულად აღორძინება. მანამდის კი ის ძლიერ ჩამორჩენილი იყო ამ მხრით. რომისა და საბერძნეთის კულტურა მას თითქმის არ შეეხებია, იგი მის გარეშე დარჩა, ხოლო ევროპის კულტურა მხოლოდ ამ დროს იკიდებდა ფეხს იქ და ისიც ერის ზედა სართულში. ეს ცალმხრივი განვითარება უკანასკნელ დრომდის ახასიათებს რუსეთის საზოგადოებრივ ისტორიას. ფართო მასები მის გარეშე დარჩენ. ბოლშევიკები ცდილობენ «კულტურული რევოლუციის» მოხდენას, მაგრამ, როგორც სამართლიანათ აღნიშნა ერთხელ ტროცკიმ, მასების უკულტურობა ყოველ ფენის ნაბიჯზე სცემს მათ.

როცა რუსეთი ჩვენში მოვიდა, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტები ახალი დაარსებული იყვნენ და მეცნიერულ ძალას არ წარმოადგენდენ, ხოლო ნაციონალური ლიტერატურა მხოლოდ იწყებდა არსებობას. რუსეთის კულტურის ისტორიის საუკეთესო მცოდნე პ. მილიუკოვი სწერს: «ნაციონალური სალიტერატურო ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორია მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენად ადრე მოხდა ერის ნაციონალურათ გაერთიანება და შეგნება. რამდენათ უფრო ძველია ლიტერატურული ენა, იმდენათ უფრო ძველია ერის ნაციონალური შეგნება. მაგალითათ იტალიაში დანტეს ენა განვითარდა 1300 წ., ჩოსერის ენა ინგლისში—მე-14 საუკუნეში. მონტენის ენა საფრანგეთში—16 საუკ. ლიტურის ენა გერმანიაში—16 საუკ. ხოლო რუსეთში ლომონოსოვის ენაც კი (მე-18 საუკ.) არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთათ, არამედ კარამზინის ენა მე-19 საუკ. დასაწყისში» (მილიუკოვი «ნაციონალური საკითხი» გვ. 83).

რასაკვირვლია მილიუკოვს რომ მოესურვებია, მას შეეძლო დაემატებია—შოთა რუსთაველის ენა საქართველოში მე-12 საუკუნეში.

ამრიგათ, თვით მილიუკოვის მოწმობით რუსეთმა ჩვენს თვალს წინ იწყა კულტურულად აღორ-

ძინება და მას არ შეეძლო ისეთი დიდი გავლენა ქონოდა უკვე კულტურულად მომწიფებულ ერების განვითარებაზე, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ რუსის პოლიტიკური მოღვაწენი. უკულტუროებს უზვედრისთანვე არ შეეძლო მოეცა საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი რუსეთის კულტურის გავლენით. რუსეთს პუშკინი, ლერმონტოვი, ტუშტევი, დოსტოევი და ტოლსტოი მხოლოდ ამ პერიოდში გაუჩნდა და მათ შექმნეს რუსული ლიტერატურული ენა. მიუხედავათ ამისა, ჩვენი ამ ხანის განვითარებაც არ არის პირდაპირი შედეგი რუსული კულტურისა. აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ევ. ნინოშვილი, ვაჟა ფშაველა და სხვები არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთათ. ქართველი ერი, მიუხედავათ იმისა, რომ ის სხვის უფელს ქვეშ იმყოფება და განვითარების ცუდი პირობები აქვს. პარალელურათ რუსეთის კულტურისა, ანვითარებს თავის საკუთარს. და მილიუკოვი სრულ ჭეშმარიტებას ლაღადებს, როცა ამბობს—ამ ერების კულტურა და ეროვნული შეგნება დამოუკიდებლათ რუსეთისა ვითარდებოდათ.

აქ ცოტა უნდა შევჩერდეთ ერთ მოვლენაზე. არც მაშინ, როცა საქართველო რუსეთის მეგობრობას ეძებდა და არც შემდეგ მისი ბატონობის ხანაში, ქართველი ერი განსაკუთრებული რუსული კულტურით მოხიბლული არ ყოფილა. ის რუსეთში ეძებდა ევროპის კულტურას და რამდენათაც ნახულობდა იქ მას, გადმოქონდა. მე ერთხელ აღვნიშნე და ესლა კიდევ განვიმეორებ—ჩვენში წმინდა რუსულ ნიადაგზე წარმოშობილმა პარტიებმა და იდეოლოგიამ, ფენი ვერ მოიკიდა, ვერ გაიხარა. სანტერესლა აქ კერძოთ ნოე ყორდანიას როლიც. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციულათ იგი დაკავშირებულია რუსეთის სოც.დემოკრატიასთან, იგი მაინც სრულიად დამოუკიდებელ რალს თამაშობს ქართველი ერის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. და ეს მოხდა ასე იმიტომ, რომ ნ. ყორდანიას თავიდანვე მტკიცეთ დადგა ქართულსა და ევროპულ ნიადაგზე. «ჩვენ ვითარდებით; სწერდა ის 1895 წელს, არა საკუთარი ინიციატივით; არამედ ევროპის მუჯღუგუნით. ევროპა გვიძულებს ევროპის გზაზე გამოვიდეთ. ჩვენი განვითარება, როგორც ყვე-

ლა უკან ჩამორჩენილი ხალხის, ძალდატანებითა. ამ ძალადობას ვუძღვებ იმიტომ, რომ კულტურა გვაქვს. უკულტურო ხალხი ვერ უძლებს და ქრება. მაშასადამე, ჩვენ ჩავდებით ახალ ხანაში, არა როგორც ეტნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი, მექონე საქუთარი ისტორიის, კულტურის, ზნეჩვეულების. აი, ეს არის ეროვნული ნიჟარა, ამაზე ვაშენებთ ევროპიულ ცივილიზაციას» (ნ. ყორ. «რჩეული ნაწერები», წერილი «ეროვნება» გვ. 108).

იგივე აზრი იმავე წერილში მოკლეთ ასე აქვს გამოთქმული: «გაეფეროპილება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა—აი რა სწერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა» (იქვე. გვ. 114).

აქ ნათლათ არის ნაჩვენები საქართველოს ეროვნული განვითარების გზა და მისდამი ავტორის დამოკიდებულება: «ევროპის კულტურა—ქართულ ნიადაგზე», აი რა არის ყორდანიასთვის ჩვენი დროის ისტორიული საკითხი. აქ არც რუსეთზე და არც მის კულტურაზე სიტყვაც არ არის ნახმარი. ამ ნიადაგს იგი ბოლომდის შერჩა, ამ დროშისთვის მას არასოდეს არ უღალატია და ამაშია ყორდანიას ისტორიული მნიშვნელობა.

ამ დროშისთვის არც ქართველ ხალხს უღალატინა და პირობების და მიხედვით იგი ცდილობდა ამ დროშის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას. დღევანდელი ჩვენი ბრძოლა ამ დროშის გარშემო სწარმოებს. აქ ახალი არაფერი არ არის. და თუ იგი ზოგიერთებს ვერ გაუგიათ, ამაში ჩვენ არ ვართ დამნაშავე.

VI.

მეფის რუსეთი ამ ჩვენ კულტურულ მუშაობას, გაეფეროპილებას შეგნებულათ უშლიდა ხელს. არ გადალევდა საშვალებას სამშობლო ენაზე მიგველო სწავლა-განათლება და ყოველი საშვალებით ხელს უწყობდა რუსიფიკაციას. არამც თუ ქართული უნივერსიტეტი, არამედ ტფილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნის წინამდებელი იყო. ზოგჯერ ამითაც არ კმაყოფილდებოდა და ადგილობრივ ერების კულტურულ დაწესებულებებს პირდაპირ არბევდა. 1896 წ. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე რუსი მოხელე თავის მოხსენებაში პეტერბურგს სწერდა: ქართველებმა და სომხებმა საკმაოთ იციან რუსული ენა და ამიტომ მათი პრესის არსებობა საჭირო არ არისო. 1903 წ. მეფის განკარგულების თანახმათ კონფისკაცია უყვეს სომხის ეკლესიის მთელ ქონებას. ასეთი ფაქტებით სავსეა მე-19 საუკუნის ამიერ-კავკასიის ერების ისტორია. ამ ერების დევნა და შვიწროება ისეთი უღალა ფაქტია, რომ იგი სადაოთ არ უნდა გაეხადათ რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთ და განსაკუთრებით მათ, რომლებიც დემოკრატიაზე და სოციალიზმზე ფიცილობენ, თუ მართლა მათ გულწრფელათ სურთ ჩვენთან მეგობრობა და არა ბატონობა, და თუ გულში ფარულათ არ ატარებენ

მეფის რუსეთის პოლიტიკას. სამწუხაროთ მთელი მათი უკანასკნელი კომპანია ჩემს ეჭვებს ამართლებს. ან სხვანაირათ, როგორ უნდა გაგიგოთ—«მეფის რუსეთსაც კი თავისუფლება და კულტურა მიქონდა!» ან მეტის-მეტი უფიცი უნდა იყო პოლიტიკური მოღვაწე, ან მეტის-მეტი დემაგოგი, რომ ასეთი ფრაზა «უპრაგონოთ» წამოისროლო.

თუ როგორ ეხმარებოდა მეფის რუსეთი და როგორ კულტურულ ძალებს გვიგზავნიდა კავკასიის ერებს იგი, ეს თავის თვალთ ნახა ლეე ტოლსტოიმ, რომელმაც მოთხრობაში «კაზაკები» ასე აგვიწერა:

«პრომოტავშიისია იუნაშა, ნესჩასტინი იგროკ, ოტჩაიანიი ლიუბოვნიკ, ნეუდავშიისია უზნიკ, იზობლონივიისია ტრუს, ილი მოშენიკ, ოსკარბლონიანი ჩესტოლოიუბეკ, გოროკი ბესედენიკ-ბობილ, ვსე ედუტ ნა კავკაზ. პო პრინიატომუ მნენიუ ეტო ოჩენ ესტესტვენნო. ია ყე დო სიხ პორ ეშო ნე მოგ ობიასნიტ სებე, პოჩემუ ონი ედუტ იმენნო ნა კავკაზ, ა ნე ვოლოგოდსკუიუ, ილი მოგილევესკუიუ, ილი ნიქნეგოროდსკუიუ გუბერნიუ?» (ახლად დაბეჭდილ დედანში. კ.).

ტოლსტოი დიდი სინდისის განსახიერება იყო და მიტომ აგვისახა ასე მკაცრათ და ცოცხლათ დამპყრობელთა როლი კავკასიაში, მაგრამ ტოლსტოის სინდისი ხომ ყველას არ აქვს!

VII.

იმ «კულტურულ ძალებს» გარდა, რომელთაც ტოლსტოი ასახელებს, რუსეთმა ჩვენში მოიყვანა სამხედრო ძალა. რუსეთი ამ დროს უკვე ძლიერი ბიუროკრატიული სამხედრო სახელმწიფო იყო და ამას თავისი მნიშვნელობა ქონდა. ამ ფაქტის გავლენის უარის ყოფა არ იქნებოდა სწორი. მან თავისი შედეგი მოიტანა,—ჩამოგვამორა ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც სისტემატიურათ აოხრებდნენ ჩვენს ქვეყანას, და საერთოთ კავკასიის ერები ომის მდგომარეობიდან გამოიყვანა.

ერეკლე მეფის უმთავრესათ რუსეთის სამხედრო ძალა ჰქონდა მხედველობაში, როცა მან ჩრდილოეთისკენ მიმართა თავის პოლიტიკა. არავინ ისე კარგათ არ იცნობდა სპარსეთსა და ოსმალეთს, როგორც იგი. ერეკლე ხედავდა, რომ ხანების ქვეყანა უფსკრულისკენ ექანება და სურს თან საქართველოც ჩაიტანოს. ამიტომ იგი ცდილობდა ესხნა როგორმე თავისი ქვეყანა ამ განსაცდელისგან. მან ორ უბედურებაში ნაკლები უბედურება ამჯობინა. ამიტომ ერეკლეს ეს ნაბიჯი ისტორიულათ და ტაქტიკურათ სწორი იყო, მით უმეტეს, თუ მივიღებთ მხედველობაში ტრაქტატის იმ პირობებს, რომელიც მან რუსეთთან დასდო. ქართველმა ერმა ომებისგან შეისვენა და რუსეთის ბატონობა თავისი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ძალების გასანვითარებლათ გამოიყენა. მან თავისი ეროვნული ძალები გაანვითარა რუსების დაუხმარებლათ და რუსების სურვილის წინამდებ. იგივე ითქმის მესამე კატეგორიის დანარჩენი ერების შესახებაც. ყველანი ვითარდებოდნენ წინამდებე გაბატონებული ერის სურვილისა.

ამ ფაქტს არავინ უარყოფს. მაგრამ აქედან სრულ-



ლებითაც არ გამომდინარეობს გაბატონებული ერის უფლება—განაგრძოს თავისი ბატონობა ჩაგრულ ერზე, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე დემოკრატია და მით უმეტეს სოციალიზმი, გაბატონებული ერის ასეთ „უფლებას“ არ ცნობს, როგორც ეს სამართლიანათ შენიშნა ფ. დანმა ამა წლის «სოც. ვესტ.» I №-ში კერენსკის.

მათ ლოლიკას რომ გავყვეთ, ძველი ავსტრო-უნგრეთი უნდა აღვადგინოთ და ჩეხოსლოვაკიამ და სხვებმა თავის დამოუკიდებლობაზე უარი უნდა სთქვან, ვინაიდან ჰაბსბურგის იმპერიამ გაცილებით მეტი საშვალეობა მისცა ეროვნული ძალების განვითარების ჩაგრულ ერებს, ვინემ რუსეთის იმპერიამ. ჩეხოსლოვაკიამ ავსტრო-უნგრეთის ბატონობის ხანაში უმაღლესათ გაანვითარა თავისი ეროვნული ძალები ყოველ დარგში. მან შექმნა ისეთი მრეწველობა, რომელიც მას საშვალეობას აძლევს მრეწველობის ზოგიერთ დარგში პირველი ადგილი დაიჭიროს მთელს მსოფლიოში. ვერაფერ ამის მსგავს ვერც ერთ ერს, თვით გაბატონებულსაც კი, რუსეთის ყოფილ იმპერიაში, თქვენ ვერ უნახავთ. მაგრამ აბა გაბედეთ და მიმართეთ თქვენ «რუსების ლოლიკით» ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ პარტიებს საერთოთ და კერძოთ მასარიკსა და ბენეშს და ნახავთ, რა მიიღოთ პასუხათ.

რუსეთის იმპერიის დამცველებმა ეს კარგათ იცინა და ამიტომ ისინი რუსეთს ამ საერთო პოლიტიკური მოვლენიდან აცალკევებენ და მისთვის საკუთარ კანონსა და ლოლიკას ქმნიან. მათი მსჯელობა და ფსიქოლოგია არის გაბატონებულის მსჯელობა და ფსიქოლოგია, რომელიც ნაკლებათ უწევს ანგარიშს, როგორც საერთო განვითარების კანონებს და სინამდვილეს, ისე ჩაგრულის ინტერესებს. ჩვენ მათ ვერ გავყვებით.

ჩვენ პირუთენელათ უნდა ვალიართ, რომ რუსის ხალხმა რუსეთის იმპერიას ვერ უპატრონა და ვერ მოუარა ისე, როგორც ამას თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს. ეს არავის საწ-

ყენათ არ უნდა დარჩეს. ეს ისტორიული ფაქტია და მას შესაფერისი დაფასება ესაჭიროება. მემარჯვენე ესერი ი. ბუნაკოვი რუსის ხალხის ამ ნაჲლს ამართლებს იმით, რომ, თითქოს რუსის ერს ისტორიისგან დაკისრებული ქონდა უზარმაზარი ვაკის გავსება და შეთვისება (რიცხობრივათ გამრავლება და ტერიტორიის დაპყრობა. კ.) და არა პატარა სახელმწიფოს შექმნა და მასში ქალაქების გაშენება და მრეწველობის აყვავება (ყურნალი «დნი» № 21).

ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით იმის კვლევა-ძიებას, თუ რამდენათ სწორია ბუნაკოვის ახსნა-განმარტება რუსეთის ისტორიული ჩამორჩენილობის. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს თვით ფაქტს. მან დიდი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის შექმნაში. სახელმწიფოს გარეგნულ სიდიადეს შეეწირა ხალხის კეთილდღეობა და კულტურული წინმსვლელობა, რასაც შედეგათ მოყვა რუსეთის იმპერიის კატასტროფა. რუსების ზოგიერთი მოღვაწე ფიქრობს მომავალშიც ამ გზით წაიყვანოს რუსეთის განვითარება. ამიტომ ჩაგრულ ერებს არ უწყვილიათ, იგი მხედველობაში არ მიიღონ და თავისი ეროვნული ტაქტიკა ამისდამინედვით არ გამოიმუშაონ. თუ გაბატონებულ ერს იგი ფაქტიურათ არასდერს აძლევს, მით უმეტეს მისგან კარგს არას უნდა მოელოდენ ჩაგრული ერები.

რუსის ერმა, თუ თავის თავის მტერი არ არის, თვითონ უნდა უარყოს დიდპყრობელობითი პოლიტიკა. წინამდევ შემთხვევაში ისტორია ამას ძალით მოახვევს მას თავზე. ამის გაფრთხილება ისტორიისგან მან უკვე მიიღო. მაგრამ, როგორც სჩანს, რუსეთს ინგლისური გზით სიარული არ ეხერხება. განა «ალმოსავლეთ ვეროპის ხალხთა ლიგის» პლათფორმის წინამდევ ამხედრება და ამავე დროს მოსკოვური სახელმწიფოს კულტის გამოცხადება ამას არ ამტკიცებს!

როგორც ეტყობა, რუსის საზოგადო მოღვაწეებმა არც არაფერი ისწავლეს და არც არაფერი დაივიწყეს.

კაქო

ჩენია. თებერვალი, 1929 წ.

**მ ა შ ი ნ დ ა ლ ე მ ს**  
(ისტორიული პარალელი)

1794 წლის გაზაფხულზე, ე. ი. სწორედ 135 წლის წინ, დიდი რევოლუციის მთავარ ასპარეზზე, პარიზში, შესრულდა ორი აქტი დრამისა, რომელიც იმავე წლის ივლისში 9 ტერმიდორით უნდა დამთავრებულიყო: იაკობინელთა გაბატონებულმა ჯგუფმა, რომბესპიერის მეთაურობით, შემუსრა ჯერ მემარცხენე, შემდეგ მემარჯვენე «ოპოზიცია» (ბოლშევიკური ჟარგონით რომ ვილაპარაკოთ): მარტში მოკვდნეს თავი «რევოლუციის მოედანზე» (დღევანდელ «კონკორდ»-ზე) ებერს და მის მიმდევართ, «ცოფიანებათ» წოდებულთ, ხოლო აპრილში იმავე მოედანზე და იმავე წესით სიცოცხლეს გამოასალმეს დანტონი და მისი მეგობრები, «ლამობიერებათ» წოდებულნი.

«ცოფიანები» იაკობინელების უკიდურეს მემარცხენე ფრთას შეადგენდენ; ისინი მოითხოვდენ ტე-

რორის გაათქვებას, სპეკულიანტების, ხალხის «დამამშველებს» უმოწყალოთ და განუკითხავათ ქლევტას, სიმდიდრის გილორტით დამღლვას. ხოლო უკიდურესი მთავანი, ეპაკ რუ, რომელიც რომბესპიერმა უკვე იანვარში გაისტუმრა საიქიოს, ერთგვარ პრიმიტიულ კომუნისტმადეც კი მიდიოდა: «საკუთრების გაყოფას» და ხორბალის «სოციალიზაციას» ქადაგებდა.

«ლამობიერები», პირიქით, მომხრენი იყვენ ტერორის მოხსნის, «რევოლუციის განიარაღების» შინაურ ცხოვრების მოქალაქეობრივ თავისუფლებათა გზით მიმართვის.

«ცოფიანები» მხარს უჭერდა ქალაქის მდაბიო ხალხი, მუშების და ხელოვნების დიდი ნაწილი; ებერის საზარელი გაზეთი «ლე პერ დიუშენ», მარტის

«ხალხის მეგობრის» ვულგარული და დაქვეითებული მემკვიდრე, ის «ცუდი არაყი იყო», მოგვითხრობს ისტორიკოსი, რომელიც «პარიზის ხალხს ყოველდღივით უნდა გადაეკრა»: «პერ დიუშენ» 600 ათასი ცალი ვრცელდებოდა, რაც საარაკო იმ დროისათვის.

«ლმობიერები» კი მატარებლები იყვნენ რევოლუციის ჩაბმულ ბურჟუაზიულ წრეების სულისკვეთების, რომელიც ტერორისტთა დიქტატურას იტანდნენ სანამ სამშობლოს და ახალ რეჟიმს სასიკვდილო განსაცდელი მოელოდა გარეშე და შინაურ მტრისაგან. კრიზისის მწვავე ხანა განვლილი იყო და საზოგადოების ზომიერ წრეებს თავის საქმიანობის ნორმალურად სწარმოებლად რევოლუციის დასრულება, კანონიერების გზაზე დაბრუნება სწყურებდა.

როგორი იყო მესამე, გამარჯვებული ჯგუფის, იაკობინელთა «ცენტრის», პერსპექტივები? საქმეც იმაშია, რომ ამით საკუთარი პერსპექტივა აღარ ჰქონდათ, ისინი ვერ ხედავდნენ გარკვეულ გზას, რომლითაც უნდა მიემართათ რევოლუციის და საფრანგეთის ბედი. მთელი მათი პოლიტიკა მდგომარეობდა «მანიოვრის» წარმოებაში ძალაუფლების შესანარჩუნებლად. «ცოფიანების» მოსაზრებამ უმაცოფილება გამოიწვია ქალაქის წვრილ ხალხში, რომელიც «პერ დიუშენ»-ში თავის მოსარჩლეს ხედავდა. რბევსიერმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, «ტრიუმფირთა» დიქტატურამ (რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, კუტონი) ამ ელემენტების უმაცოფილების შესანარჩუნებლად, გილიოტინა წამსვე მარჯვნივ მიმართეს, «ლმობიერები» შემუსრეს და ამავე დროს მათივე ხელით განადგურებულ მემარცხნეებიდან ისესხეს მთელი რიგი სოციალურ მოთხოვნილებათა, თავის გემოზე შეანელეს ეს მოთხოვნილებები და შეეცადნენ მათ გატარებას. მაგრამ მანიოვრის პოლიტიკა, ე. ი. საკუთარ პერსპექტივებზე აშენებულ პოლიტიკის უქონლობა, ქვეყანას ჩიხიდან ვერ გამოიყვანდა.

ერთის წლის წინათ, 1793 წლის პირველ ნახევარში, რევოლუციური საფრანგეთი უკიდურეს გაპირვებაში იყო: ძველი რეჟიმის ევროპამ ინგლისთან დაკავშირებით საფრანგეთის საზღვრები გადმოლახა და რევოლუციის გულს, პარიზს, ემუქრებოდა. შიგნიდან რევოლუციის შთანთქვას ლამობდა გარეშე მტრის მოკავშირე ვანდეა და პარიზის წინამდევ აჯანყებული მთელი რიგი პროვინციებისა. ამ სასიკვდილო განსაცდელში კონვენტის მემარცხნე ფრთამ, ე. წ. «მთამ» (მონტან) დაუზოგავათ შემუსრა მერყევი ელემენტები და შექმნა დიქტატორული აპარატი, დაყრდნობილი პარიზის კომუნაზე (ქალაქის საბჭო), მის 48 სექციაზე, იაკობინელთა კლუბებზე და სხვა «სახალხო საზოგადოებებზე». ამ დიქტატორული ხელისუფლების მწვერვალს შეადგენდა კონვენტის მიერ გამოყოფილი ორი კომიტეტი: «საზოგადოების ხსნის» და «საყოველთაო უზრუნველყოფის». კლუბების, სახალხო ორგანიზაციების, რევოლუციური ტრიბუნალის საშუალებით კომიტეტებმა მთელი ძალაუფლება ხელთ იგდეს; ტერორის შიშით კონვენტის ზომიერმა ნაწილმა «ვაკეთ», «ქაობათ» წოდებულმა, ხმა გაიკმინდა და «მთის» ანუ მონტანიარების

ნების აღმსრულებლად იქცა. ეს დიქტატორული აპარატი უმაგალითო ენერგიით გაუმკლავდა სასიკვდილო განსაცდელს. რამდენიმე თვის განმავლობაში მან შექმნა ვეებერთელა სამხედრო ძალა, მიუჩინა მას შესანიშნავი ჯაბუკი სარდლები; ამ ნორჩმა, სანახევროთ გაერთვნილმა ჯარმა სულ მოკლე ხანში უკუაგდო ევროპის კოალიცია, ადადგინა საფრანგეთის საზღვრები და შეტევაზე გადავიდა. შიგნითაც რევოლუციურმა დიქტატურამ რკინის ხელით შემუსრა კონტრ-რევოლუცია. ამგვარად 1794 წლის გაზაფხულის მიწურულში საგარეო მტერი მოგერიებული იყო, შინაურ მტრისაგანაც რევოლუციას საფრთხე აღარ მოელოდა. მაგრამ ამასან ერთად იაკობინელთა დიქტატურამაც დაჰკარგა თავისი ისტორიული აზრი და გამართლება. აპარატი საკმაოდ ძლიერი იყო, რომ თავის მონათესავე წრეებში უმაცოფილო ელემენტები ფინიკურად დაემარცხებია, მაგრამ ამ აპარატს აღარ ასულდგმულვებდა ახალი დიდი მიზნები და მისწრაფებები. ასეთ პირობებში დიქტატურა, ეს საზოგადოების და ქვეყნის ხსნის იარაღი, გადაქცა რევოლუციიდან გამოსულ საზოგადოებრივ ძალთა განვითარების შემადგენელ და შემბორკავ ძალად. კონფლიქტი საზოგადოების განვითარების ინტერესების და მისი პოლიტიკური ფორმის შორის აუცილებლად უნდა გადაჭრილიყო. ამაში მდგომარეობდა ისტორიული აზრი იმ ბრძოლისა, რომელიც 1794 წლის პირველ ნახევარში სწარმოებდა პარიზში იაკობინელთა ვიწრო წრეში...

როგორც ხედავთ არის ერთნაირი მზგავსება ამ ძველ ამბებსა და საბჭოთა რუსეთის დღევანდელ ვითარებას შორის. \*)

სტალინმა დაამარცხა მემარცხენე ოპოზიცია. აღარავის შესდის ექვი იმაში, რომ ტროცკი და მისი მიმდევრები ისტორიულ ჩარხს უკუღმა ვეღარ მოატირიალებდნენ. ბრძოლის ცენტრი გადაინარა მარჯვნივ. როგორც არ უნდა დამთავრდეს დღეს-დღეობით ბრძოლის ეს მეორე ეტაპი, ერთი აშკარაა: ბოლშევიკური ცენტრის, აპარატის დიქტატურა პოლიტიკურად გამოფიტული, დრომოქმულია. მას აღარ ასაზრდოებს არავითარი ახალი მისწრაფება, არ გაჩნია არავითარი საკუთარი პერსპექტივა: ის მარცხნით თუ მარჯვნივ ნასესხები ლოზუნგებით საზრდოობს. «მანიოვრის» საშვალეობთა ნიხანავს თავს, ე. ი. ერთსა და იმავე ადგილზე ბოგინობს. გარედან ბოლშევიკურ რევოლუციას საფრთხე აღარ მოელოს: მასზე უცხოეთიდან ვალაშტრებას არავინ ფიქრობს; ხოლო ძველი რეჟიმის ძალები დიდი ხანია დაძლეულია. მაგრამ მას დაკარგული აქვს ისტორიული აზრი და

\*) ეს მზგავსება, რა თქმა უნდა, გარეგნულია, შევსება იქაც და აქაც სექტის დიქტატურის ფარგლებში მოძრაობის ფორმებს და ტენდენციებს და არა შინაარსს, რომელიც სხვა იყო მაშინ და სხვაა ენლა, რადგან მე-18 საუკუნის საფრანგეთის სოციალური შემადგენლობა სავსებით განსხვავდება დღევანდელ საბჭოთა კავშირში მოქმედ სოციალურ და პოლიტიკურ ძალებისაგან.

გამართლება თვით რევოლუციონი ჩასახულ თუ წელ-  
მომავარებულ საზოგადოებრივ ელემენტების თვალ-  
ში; ბოლშევიკური ლიტერატურა გადაქცეულია ამ  
ელემენტების შემადგენლებლათ და შემბოროკავათ და  
სწორედ ეს ძალებია, რომ მას მისივე ბანაკიდან ემუ-  
ჭრებიან. ეს ელემენტები იბრძვიან არა უშუალოდ,  
რის ნიდავას არ იძლევა დიქტატორული რეჟიმი,  
არამედ თვით კომუნისტთა სხვადასხვა ჯგუფების  
სახით. აპარატი ჯერ კიდევ საქამათ ძლიერია; რომ  
დროებით, შეიძლება, მარჯვენა ოპოზიციაც სძლიოს,  
მაგრამ ბოლშევიკური დიქტატურის ცენტრის ეს  
გამარჯვება იქნებოდა ერთი ზედ-მეტი მოხერხებუ-  
ლი მანიოვრი და მეტი არაფერი, პოლიციური და  
არა პოლიტიკური გამარჯვება. მანიოვრით შეიძლე-  
ბა ტროცკის თუ რიკოვის დამარცხება, ხოლო გლენს,  
ნეპმანს, საბჭოთა ბიუროკრატიას და სხვ. მანიოვრით  
ვერც დაამარცხებ, ვერც დააქმნაფილებ; მათ ვერც  
ციმბირში გადასახლებ, ვერც სტამბოლში გააძევენ.  
დღეს გაძევებულ რიკოვის თუ ტომსკის ადგილას  
სტალინის დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი საზო-  
გადოებრივი ელემენტები იმავე კომუნისტთა რიგები-  
დან ხვალ ახალ ოპოზიციონერებს წამოაყენებენ, ისე  
როგორც ამ 135 წლის წინ აპრილში თავმოკვეთილ  
დანტონისტების ადგილას ნაკობინელთა დიქტატურის  
წინააღმდეგ ამხედრებულმა საფრანგეთის საზო-  
გადოებრივმა ძალებმა იმავე წლის ივლისში წამოაყ-  
ნეს თვით იაკობინელთა წრიდან ტერმიდორის გმი-  
რები. ვინაიდან, ისტორიის ნება უნდა ასრულდეს:  
კონფლიქტი საბჭოთა კავშირის რთულ საზოგადოე-  
ბრივ ძალთა განვითარების ინტერესებს და ბოლშე-  
ვიკურ დიქტატურის შორის ადრე თუ გვიან უნდა  
გადიჭრას და უნდა გადიჭრას პირველის სასარგებ-  
ლოთ...

«ტერმიდორის» ერთი ნიშნობლივი თვისებათა-  
განი იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციური დი-  
ქტატურის ციხე შიგნიდან ტყდება, რეჟიმს მისივე  
ღვიძლი შვილები, მისი მომხრეები ანგრევენ შეუფ-  
ნებლათ და უნებლიეთ.

რა მოხდა 9-სა და 10-ს ტერმიდორს (27 და 28 ივ-  
ლისს) პარიზში?

ებერტისტების და დანტონისტების დამარცხებამ  
რობესპიერ-სენჟიუსტ-კუტონის, ე. ი. იაკობინელთა  
ცენტრის დიქტატურის საფუძველი საგრძობლათ  
შეასუსტა და დაავიწროა. როგორც ნათქვამი იყო,  
ებერტისტებს მხარს უჭერდა რევოლუციის მთავარი  
მომქმედი ძალა, მდამიო ხალხი. მათ მრავლათ ჰყავ-  
დათ მომხრეები იაკობინელთა კლუბში, რევოლუ-  
ციურ კომიტეტებში (ხელისუფლების ადგილობრი-  
ვი ორგანოები), პარიზის კომუნაში და მის სექციებ-  
ში. «პერ დიუშენ»-ის ჯგუფის განადგურებამ რამო-  
დენიმეთ ჩამოაშორა რევოლუციურ დიქტატურის  
«აპარატს» ამ ელემენტების სიმპატიკა, დაბადა მათ-  
ში გულგრილობა დიქტატურის ბედისადმი. მეორე  
მხრით, კონვენტში და კომიტეტებში ებერტისტებს  
და დანტონისტებს მომხრეები თუ თანამგობრები  
დარჩათ. ვილიოტინამ დააცხრო დროებით პოლი-  
ტიკური ბრძოლა, მარა მან გააძლიერა ურთიერთი

უნდობლობა, იქვიანობა, შიში და სიძულვილი მმა-  
რთველ წრეებში. ბრძოლის პოლიტიკური შინაარსი  
გამოიფიტა, მას მიეცა პირადული ქიშპობის და უნ-  
დობლობის, ინტრიგის ხასიათი. ამ ქიშპობის ნიდა-  
გზე რობესპიერს ჩამოშორდა კომიტეტის უმრავლე-  
სობა. კონფლიქტმა უმადლეს მწვერვალს მიაღწია  
ივლისის მიწურულში, ხოლო საჯაროთ იფეთქა  
თვით კონვენტის წიაღში 9 ტერმიდორს—27 ივლისს  
(1794). რობესპიერსა და სენჟიუსტს მომზადებული  
ჰქონდათ თავდასხმა კომიტეტის ურჩ წევრებზე. მა-  
გრამ ისიც იყო სენ-ჟიუსტმა დაიწყო თავისი საბრა-  
ლმდებლო სიტყვა, რომ მოქიშპეები კონტრ-მეტე-  
ვაზე გადავიდენ, სენჟიუსტს სიტყვა გააწყვეტინეს,  
რიგ-რიგობით თავს დაესხენ რობესპიერს და მობთ-  
ხოვეს კონვენტისაგან მისი დაუყოვნებლო დატუსა-  
ლება და რევოლუციურ ტრიბუნალისათვის გადაცე-  
მა. მათ მხარი დაუჭირეს თვით მონტანიართა («მთა»)  
რიგებიდან დანტონისტებმა, მაგრამ საქმეს სწვევდა  
კონვენტის ზომიერი ფრთა, «ჟაობი», რომელიც აქა-  
მდე შიშით მხარს უჭერდა რობესპიერს. 9 ტერმი-  
დორს «ჟაობი» მიემხრო კომიტეტის წევრებს და  
კონვენტმა დაადგინა რობესპიერის, სენ-ჟიუსტის,  
კუტონის, უმცროს რობესპიერის და ლებას დატუ-  
სალება. დეკრეტი წამსვე სისრულეში იქნა მოყვანი-  
ლი. მაგრამ საქმე ამით ვერ გათავდებოდა. რობეს-  
პიერის მხარეზე იყო პარიზის მუნიციპალიტეტი  
(კომუნა), რომელიც განაგებდა პოლიციას და გარ-  
ნიზონს. კომუნა წინააღმდეგ კონვენტს, მოუწოდა  
სექციებს, კლუბს და ხალხს აჯანყებისაკენ, გაანთა-  
ვისუფლა დატუსალებულები და შეუდგა სამხედრო  
სამზადისს. მაგრამ მდამიო ხალხი კომუნას ძლიერ  
გულგრილად გამოეხმურა: სექციების დიდმა უმრა-  
ვლესობამ თავი შეიკავეს, კლუბმა ორქოფობა გამო-  
იჩინა, «რტელ დე ვილში» (ქალაქის საბჭოს შენობა)  
თავმოყრილმა აჯანყებულებმა დაღამებამდე ვერ  
შესძლეს გადაჭრელი ნაბიჯის გადადგმა, დამე ქი  
მის ირგვლივ თავმოყრილი სამხედრო ძალები თან-  
დათან წავიდ-წამოვიდენ. აჯანყებულთა ყოყმანით  
და სისუსტით გამხნეებული კონვენტის და კომი-  
ტეტების მეთაურები ერთი მუჟა შეიარაღებულების  
თანხლებით თავს ესხმიან კომუნას და იოლათ ამარ-  
ცხებენ აჯანყებულთ. 10 ტერმიდორს დილით კონ-  
ვენტს და მის ახალ მეთაურებს მთელი «აპარატი»  
ემხრობა. ამ დღეს მოჰკვეთეს თავი იმავე რევოლუ-  
ციის მოედანზე რობესპიერს და მის მომხრეებს;  
შემდეგ დღეებში განადგურებულ იქნა მთელი შემა-  
დგენლობა კონვენტის წინააღმდეგ აჯანყებულ კო-  
მუნისა.

ამგვარათ, გარეგნულათ რომ გავსაჯლოთ 9 ტერ-  
მიდორი, ის რომ ისტორიულ პერსპექტივიდან ამო-  
ვილოთ, უნდა ვთქვათ რომ რობესპიერისტების და-  
მარცხება იყო ისეთივე ეპიზოდი, როგორც ებერტი-  
სტების ან დანტონისტების დამარცხება. გარეგნუ-  
ლათ, კანონიერების თვალთარისით 9 ტერმიდორს  
უბრალე გადატრიალებაც, Comp d'Etat-ც კი არ და-  
ერქმევა. ტერმიდორიელები სავსებით კანონიერების  
გზაზე იდგენ და მართალი იყვენ, როცა კომუნას კა-  
ნონის წინააღმდეგ ამხედრებას უსაყვედურებდენ.

მეორე მხრით, 9 ტერმინდორის მთავარი გმირები არამც თუ კონტრ-რევოლუციონერები არ ყოფილან, არამედ მათი უმრავლესობა იგივე იაკობინელები და ტერორისტები იყვნენ. კომიტეტის წევრები: ბიოვარენი, ბარერი, კოლო-დ'ებრუა, ვადიე, ამარი და სხვ., რომელთაც კონვენტში რობესპიერზე იერიში მიიტანეს, რევოლუციურ დიქტატურის შემქმნელთაგანი, მისი გულწრფელი მომხრეები და დამცველები იყვნენ. ბევრი მათგანი უკიდურესობაში რობესპიერს აჯარბებდნენ: მაგალითად, შეურიგებელი ტერორისტი ბიოვარენი რობესპიერს უსაყვედურებდა ზომიერებას, დან-ტონისტების დაზოგვას. ხოლო მეორე ტერმინდორიული, ვადიე, აბრალებდა მას სამღვდელაფების და კატალიციზმის მფარველობას.

ყველა ამათ გულწრფელად სწამდათ, რომ რობესპიერის დამარცხება უნდა ყოფილიყო პირადი დიქტატურის, რევოლუციის დამმონაგებელის თავიდან მოშორება და სხვა არაფერი. რევოლუციური დიქტატურა და რეჟიმი კი ხელშეუხლებელი უნდა დარჩენილიყო. 11 ტერმინდორს, თავის მოხსენებაში კონვენტის წინაშე, მთავარი ტერმინდორიელთაგანი, ბა-

რერი, «საზოგადოების ხსნის კომიტეტის» სახელით, ასე ახსნათებდა 9 ტერმინდორს: «ნაწილობრივი ცვლილება, რომელიც საესებით ხელუხლებლათ სტოვებს მთავრობას, მის პოლიტიკურს, ადმინისტრატულიუს და რევოლუციურ ოპერაციებს, როგორც საგარეოს, აგრეთვე საშინაოს». და შემდეგ, იმავ სიტყვაში, ბარერი აფრთხილებს მათ, «ვისაც სურთ შეაჩერონ საფრანგეთის რევოლუციის დიდებული და საშინელი მსვლელობა და უკან დაახვეიონ უპირველესს ერთა შორის»<sup>1)</sup>. თავისი სიტყვა ბარერმა დაათავა გილიოტინის მუქარით «არისტოკრატების» წინაშედ, რომლებიც «ლოზბიერებაზე» ფუსფუსებენ!

ასეთი სახე აქვს 9 ტერმინდორს, თუ ის ისტორიულ პერსპექტივას ამოვგლიჯეთ. მაგრამ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის ლოლიკამ მალე გააძვანტა ტერმინდორის მთავარ გმირების ილიუხიები, რასაც შემდეგ წერილში დავინახავთ.

დ. შ.

<sup>1)</sup> ალბერ მატის. ტერმინდორული რეაქცია. ფრანგულათ. პარიზი 1929.

**თვითგამოკვივვა თუ „გაბოკოტბაზული შოვინიზმი“**

საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცეულ არა რუს ერებში სეპარატიული მოძრაობა დღითი დღე იზრდება, იმდენათ ფართო და მასიური ხასიათი მიიღო მან, რომ მისი მიჩუმათება შეუძლებელი შეიქნა. დიდი და მთლიანი რუსეთის მოციქულებმა დიდ ხანს მალეს ეს «ჭირი», მაგრამ «ჭირმა» თავი არ დამალა და საშკარაოზე გამოვიდა.

დიდი რუსეთის ყველა ჯურის და ყველა ფერის მოტრფილენი ვერ ურიგდებიან რუსეთიდან არარუს ერების გამოყოფას და ამ ერების მიერ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულების მოწყობას.

განსაკუთრებულ სიბრანეს და ნერვიულობას იწვევდა და იწვევს უკრაინის სეპარატიული მოძრაობა. რა არ ილენეს, რომ ამ მოძრაობისათვის სასელი გავტესხათ?!. დიდი ხანი ამ არის მას აქეთ, რაც იგი გამოცხადებული იყო ინტელიგენციის მცირე ჯგუფის შოვინისტურ ბოღვათ. ამავე დროს შინ დი გარეთ ენერგიულათ ამტკიცებდენ, რომ უკრაინელი გლენი, ვაჭარი და მრეწველი თავიანთ თავს ჭეშმარიტ რუსებათ თვლიან და რუსეთიდან გამოყოფა მათ აზრათაც კი არ გაუვლის თავში. მაგრამ სიმართლემ ადვილად გვარღვია სიცოტრის კედლები. უკრაინის სეპარატიული მოძრაობის მასიური ხასიათი დღეს იმდენათ აშკარა და ცნობილია, რომ მისი გამოცხადება ერთი მუჟა ინტელიგენციის შოვინისტურ ჭაქანათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება საბუთად. ასეთ შემთხვევაში აჯობებს მთელი ხალხი, თვით კომუნისტების შიგ ჩართვით, გამოაცხადო გაბოროტებულ შოვინისტებათ. და სწორეთ ასე იქცევიან «სოციალისტური ვესტნაკის» (№ 6, 1929 წ.) და «დნის» (№ 29, 1929 წ.) კორესპოდენტები.

«სოც. ვესტნიკის» მოსკოველი კორესპოდენტი იტყობინება, რომ უკრაინაში მივინვარებს «გაბორო-

ტბული შოვინიზმი და ნაციონალიზმი», რომ იქ «ფართოდ მოქმედებენ ფარული ორგანიზაციები, რომლებიც სეპარატიულ მოძრაობას ამზადებენ. «მოსკალებს» ავინებენ საშინლად... ასეთი სულიერი განწყობილებაა როგორც სოფელში, ისე ქალაქში და თვით უკრაინელ კომუნისტების ერთ ნაწილშიც». ჩვენ ვიცით, რომ უკრაინელი კომუნისტების დიდი უმრავლესობა აშკარათ თუ ფარულათ სეპარატიულ მოძრაობას ემხრობა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ქართველიშვილის მოხსნა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლების თავმჯდომარის ადგილიდან და მისი უკრაინაში მივლინება «გეპუს» ხელმძღვანელათ. ამას ადასტურებს აგრეთვე «დნიში» მთავსებული რუსეთიდან მონაწერი კორესპოდენცია. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს, რომ უკრაინაში კომუნისტები ფართოთ ეწევიან აგიტაციას «კაცაპების» წინააღმდეგ, რომ უკრაინელი კომუნისტები ყველაფერში ამტყუნებენ «კაცაპებს», რომელთა ხელისუფლება საძაგელია, და რომ აუცილებლათ მიაჩნიათ გაზაფხულისთვის ამ ხელისუფლებისაგან საბოლოოვით განთავისუფლება.

არც ყახანისტანი (თურქესტანი) ყოფილა უკეთესი მდგომარეობა. «დნის» იმავე კორესპოდენტის მოწმობით ყახანისტანში და მის სამხრეთით თვით სპარსეთის და ავღანისტანის საზღვრებამდე თვითონ ადგილობრივი კომუნისტები აწარმოებენ პროპაგანდას მოსკოვის ხელისუფლების წინააღმდეგ, ხალხს აგონებენ, რომ «რუსეთის ხელისუფლება ყოველ მხრივ ხლართებშია განხვეული და საჭირა მისი კიდევ უფრო დახლართვა»...

თუ ასეთია სულიერი განწყობილება იმ კომუნისტების, რომლებსაც მოსკოვის ხელისუფლება ჩიტის რძესაც კი არ აკლებს, ადვილი წარმოსადგენია





თუ როგორი უნდა იყოს სულიწვეთება იმ ხალხისა, რომელიც ყოველგვარ უფლებას მოკლებულია და კომუნისტურ ხელისუფლების საკრებულო ფარას წარმოადგენს. აქ კითხვა დგას არა იმდენათ რეჟიმის შეცვლის შესახებ, რამდენათაც რუსეთის ბატონობიდან საბოლოოთ თავის დასწევის შესახებ. ამ დამონებულმა ერებმა კარგათ იციან, რომ მთავარია რუსეთის ბატონობის თავიდან მოცილება. რის შემდეგ შენაურ რეჟიმის საკითხსაც ადვილად მოაგვარებენ.

ამნაირათ თვითონ რუსები აღიარებენ, რომ რუსეთი დგას მასიურ სეპარატიულ მოძრაობის წინაშე არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა ერებში, არამედ აგრეთვე უკრაინასა და თურქესტანშიც.

ჩვენთვის ადვილათ გასაგებია, რომ სეპარატიული მოძრაობის ასე გაფართოვება და გაღრმავება უსაზღვრო ბრძოლას ავსებს და წინასწრობას ურღვევს რუს იმპერიალისტებს, მაგრამ პირდაპირ განსაცვიფრებელია ზოგიერთ რუს სოციალისტების დამოკიდებულება და პოზიცია ამ მოვლენისადმი. სოციალ. კერენსკის «დნი» და მასთან ერთად ზოგი სხვებიც გულმოდგინეთ ცდილობენ სახელი გაუტყხონ საბჭოთა რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულ არარუს ერების სეპარატიულ მოძრაობას: «გაბორტებული მოვიინიზმი და ნაციონალიზმი», «გისლის ნაპირებიდან ქარის ბერვა», ვილაც ბორტო სულების მიერ მოსკოვიდან წარმოგზავნილი «ინსტრუქციები»,—აი რა უდევს თურმე საფუძვლათ სეპარატიულ მოძრაობას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ მოძრაობის საფუძველი ბევრათ უფრო ღრმა და მტკიცეა.

საქმე იმაშია, რომ უკრაინელმა გლეხებმა ანგარიში დაისწავლა; მან მტკიცეთ შეიგნო, რომ გაცილებით უფრო ხელსაყრელია ერთ ფუთ პურში მიიღო დასავლეთ ევროპის რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დამაზადებული კარგი ღირსების ნ მეტრი ჩითი, ვინემ «სოციალისტურ» მოსკოვში მოქსოვილი ცუდი ღირსების 3 მეტრი. თურქესტანელმა სოფლის მეურნემაც გაიგო, რომ ის მის ბამბაში დასავლეთ ევროპაში ორჯერ და სამჯერ უფრო მეტ საქონელს მიიღებს, ვინემ მას მოსკოვი აძლევს. ასეთივე შეგნება შეიჭრა სხვა არარუს ხალხებშიაც; ყველამ გაიგო, რომ გაბატონებული მოსკოვი და მოსკოვის დანგრეული წარმოება განაპირა ქვეყნების ხარჯზე ცხოვრობენ, ხოლო თვით ეს განპირა ქვეყნები ნახევრად შშიერნი და ტიტველ-შიშველი რჩებიან. შეიგნო ეს და ამოძრავდა; ამიერიდან იგი მოითხოვს, რომ მისი ნაშრომი, მისი ქვეყნის სიმდიდრე და ნაწარმოები მასვე უნდა ხმარდებოდეს საკეთილთ და არა მოსკოველ ბატონების მოსალხენათ მიდიოდეს. სწორეთ ასეთ ეკონომიურ საფუძველზეა აღმოცენებული ის სეპარატიული მოძრაობა, რომლის სახელის გატეხას დიდი გულმოდგინეობით ცდილობენ ზოგი არამკითხვე მეგობრები. ამ უკანასკნელთა ზრით ირლანდიას აქვს უფლება იბძოლოს დამოუკიდებლობისათვის; ასეთივე უფლება აქვს ინდოეთს, ირაქს, ეგვიპტეს,—აზიის და აფრიკის ყველა კოლონიებს. ხოლო საბჭოთა კავშირში მოქცეული ერები კი გამონაკლისს შეადგენენ.

როდესაც ირლანდია იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, ეს სავესებით ბუნებრივი და მისალბია; რუსეთის სოციალისტები ამ ბრძოლას თანაგრძობით ეგებებიან; მაგრამ თუ უკრაინამ მოითხოვა დამოუკიდებლობა, ეს შეუწყნარებელი ბოროტებაა, იგი რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს ინტრიგებიანდოეთის გინდ ირაქის სეპარატიული მოძრაობა სიმპატიური საქმეა; იგი ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების განხორციელებაა. ხოლო თუ საქართველომ ან თურქესტანმა გაბედა ასეთი მოძრაობის წამოწყება, ეს რუსეთის დაყოფაა, ეს გაბოროტებული ნიციონალიზმია. როდესაც რუსეთი მაგრათ არის ჩაფრენილი დაპყრობილი და დაჩაგრულ ერების ქინჩი და არ სურს მათი ხელიდან გაშვება, ეგ თურმე სოციალიზმი და დემოკრატიზმი ყოფილა. ხოლო თუ ამ დაჩაგრულმა ერებმა არ ინდომეს მუდამ ჩავვრაში და მონობაში ყოფნა, ეგ კი უბოროტესი შოვინიზმი ყოფილა. სამწუხაროთ ასეთი პოტენტოტურ მორალს იჩენენ ზოგი სოციალისტებიც.

ჩვენთვის კი ეროვნული თვითგამორკვევის უფლება წმიდა უფლებაა უკლებლივ ყველა დაპყრობილი და დამონებული ერისთვის. ყველა ასეთ ერს უფლება აქვს მოითხოვოს დამოუკიდებლობა და გამოეყოს დამპყრობელს, თუ კი მას მისი კულტურული და ნივთიერი საშვალეებიანი ამის შეძლებას აძლევენ. ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფოს დაყოფას, არამედ იგი გულისხმობს დამპყრობელ ერისაგან დაპყრობილ ერის ჩამოცილებას. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ინგლისის და საფრანგეთის სოციალისტები, რომლებიც ამ უფლებას აღიარებენ და მის განხორციელებას მოითხოვენ ინგლისის და სიფრანგეთის კოლონიებისათვის, ამ სახელმწიფოების დაყოფის მქადაგებლათ უნდა გამოგვეცხადებია. დაყოფილ სახელმწიფოს მაგალითი ჩვენ გვქონდა პოლონეთის სახით: ამ უკანასკნელის ცოცხალი სხეული სამ ნაწილათ იყო გაკვეთილი; ერთი ნიწილი ეკავა გერმანიას, მეორე—ავსტროუნგრეთს და მესამე რუსეთს. უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა გამოასწორა ეს საშინელი დანაშაული.

რუსეთი არის ის ტერიტორია, რომელზედაც რუსის ერი მოსახლეობს და რომელიც რუსეთის მამაპაპულ კუთვნილებას შეადგენს. ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია რუსეთის ამ ტერიტორიას რამე ჩამოვავლიჯოთ და რომელიმე სხვა ერს მივაკუთვნოთ.

დაუშვებელია აგრეთვე თვითგამორკვევის უფლების მოთხოვა და მისი განხორციელების გზაზე შედგომა «გაბოროტებულ შოვინიზმთ» გამოაცხადო. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ფასი აქვს ამ მაგარ სიტყვებს. «დნის» რომ დავუჯეროთ, განაციონალიზტებულია და გაშოვინისტებულია არა მარტო ქართველი ხალხი, რომელიც გასაოცარი ენერგიით ებრძვის კომუნისტურ რეჟიმს და კომუნისტურ ხელისუფლებას, არამედ თვით სტალინი და ორჯონიკიძეც კი ნაციონალიზტაბი არიან და საქართველოს კეთილდღეობისათვის ილწვიან, სიწმარში და ცხადში საქართველოს ბედნიერებაზე ოცნებობენ. აბა დღეს ვინ არ იცის, რომ სწორეთ სტალინ-ორჯონიკიძეები შემოუძღვენ დამოუკიდებელ საქართველოში მოს-

კოვის წითელ ჯარს და ხიშტებით დაიპყრეს იგი; ვინ არ იცის, რომ სტალინ-ორჯონიკიძის წყალობაა რომ მოსკოვის ჯარები დღესაც ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და გულმოდგინედ იცავენ მოსკოვის ადგილობრივ აგენტებს; ვინ არ იცის, რომ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება ერთ დღეს ვერ იარსებებდა, თუ რომ სტალინ-ორჯონიკიძის მიერ წარმოგზავნილი რუსის ჯარები არ იდგენ იქ?.. სტალინისტმა კერენსკიმ ძალიან კარგათ იცის, რომ სწორედ სტალინისა და ორჯონიკიძის წყალობით არის, რომ საქართველო მოსკოვის კალონიათ არის გადაქცეული და მის «ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურ-მუსტოვან» ზურგზე მოსკოვის აგენტები თარეშობენ მიუხედავად ამისა იგი გაუწითლებლათ აცხადებს საქართველოს გამცემთ ქართველ ნაციონალისტებთან.

ასევე მოჩმასულია ქართველ ერის შოვინიზმიც. შოვინიზმის გრძობა ამ ერისთვის უცნობი რამ არის; დასაბამიდან დღემდე იგი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს «მენც იცოცხლე, მეც მაცოცხლე»-ს პრინციპით. ქართველი ერთ იბრძვის თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენათ, იგი ცდილობს აღადგინოს თავის დაკარგული სუვერენობა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მას არსებითად რუსის ერთ სძულდეს და მისი მტრობა ედოს გულში. პირიქით, მთელი ჩვენი ცდა და მაცადინება იქითკენ არის და იქნება მიმართული, რომ რუსეთთან კარგი მეგობრული და მეზობლური განწყობილება ჩამოვადოთ: საქართველოს და რუსეთს ბევრი საერთო ინტერესები ექნება; ჩვენ ყოველივეს ვიღონებთ, რომ ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება ამ ორ სახელმწიფოთა შორის მოვავაროთ ორივე მეზობელ ერის საკეთილთ და სასარგებლოთ მეგობრულ ხელშეკრულებების დადებით, როგორც ეს ხდება ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის.

თავისუფლებისათვის მებრძოლ დაჩაგრულ ერების შოვინიზმზე და ინტრიგებზე ისტერიული კივილი იმპერიალისტურათ განწყობილ წრეების მიერ მოჩ. მახული ცილისწამებაა. მას შეიძლება ერთად ერთი მიზანი ქონდეს: გაბატონებულ ერში შოვინისტური ნაპერწკალის გადასროლა და მის წიაღში ეროვნულ მტრობის გაღვივება იმ ერების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფიან.

თუ ასე გაუფრთხილებლათ გადასროლილმა თესლმა თავისი ნაყოფი გამოიღო და რუსეთის დემოკრატიკა იარაღით ხელში წინ აღუდგა ერების განმანთავისუფლებელ მიწრაფებას, აქედან გამომდინარე მეტად მძიმე შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დააწევება არა უცხო ულლის წინააღმდეგ მებრძოლ ერებს, არამედ იმ რუსულ პოლიტიკურ ჯგუფებს და მიმართულებებს, რომლებიც ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას გაბორბობებულ შოვინიზმის სახელით ნათლავენ.

ბ. ანთიქ.

**საბჭოთა პოლიტიკის სამარცხვინო დამარცხება შვიდცარიში**

ეს რამოდენიმე ხანია საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა შვეიცარიას, კერძოთ უენევას. სადაც მეტისმეტ აქტივობას იჩენენ მისი აშკარა თუ ფარული აგენტები.

რითი აიხსნება ასეთი დიდი «ყურადღება» ამ პაწია ქვეყნისადმი იმ დროს, როცა რუსეთის საშინელ ფინანსიურ კრიზისს განიცდის და როცა ეს «ყურადღება» ძალიან ძვირათ უკლდება მოსკოვს?

ცხადია რით: შვეიცარია წარმოადგენს ევროპის უძველეს დემოკრატიას, სადაც ხალხის პირდაპირი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ტრადიციათაა გადაქცეული. ბოლშევიზმი, როგორც შეუჩივებელი მტერი ხალხის ასეთი უფლებებისა, უნდა შეტაკებოდა დემოკრატიზმის ციტადელს. ეს ბუნებრივია. მარა ამას ემატება ის დიდი ფაქტი, რომ ერთა ლოკა, რომელსაც ბოლშევიკებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ცხრა წლის წინ და რომელსაც შეუწყვეტლათ ებრძოდენ კიდევ ამ ხნის განმავლობაში, თანდათან გაძლიერდა, გადაიქცა გარდაუვალ ინტერნაციონალურ მორალურ ძალათ. შორს არ არის ის დროც, როცა ის პოლიტიკურ ძალათაც შეიქნება. უმისოთ დღესაც არც ერთი დიდი საქმე არ კეთდება. ბოლშევიკებს კარგად ესმით, რომ არამც თუ ლიგის დამხმარე მათ აღარ შეუძლიათ, არამედ თავიანთი დაუძლურებელი რეჟიმის, საბჭოთა წყობილების ხსნა მის ახლო-მასლო უნდა ექმბონ. ამით აიხსნება მათი ტაქტიკის

შეცვლა, ერთა ლიგის ქალაქში, უენევაში, მოსვლა, აქ მუშაობის გაჩაღება. აქ ისინი ცთილობენ მიზნის მიღწევას საზოგადო აზროვნების გაყალბებით—მემარჯვენეებს თავი ლოიალურათ მოახვენონ, მემარცხენეებს—ქვეყნის მხსნელებათ და ამავე დროს ჩვეულებრივი შანტაჟი გაახშირონ, მოსყიდულების საშუალებით დემონსტრაციები მოახდინონ და ასე მოსკოვი ძლიერათ მოახვენონ ქვეყანას...

მოსკოვის მთავრობა არ ზოგავს არავითარ საშუალებებს, რათა გახრწნა შეიტანოს საზოგადოების ყოველსავე წრეში. ამიტომ მისი აგენტები გაშმაგებით ამოქმედდენ ამ უკანასკნელ თვეებში ყოველგვარ ნიადაგზე: პოლიტიკურზე, დიპლომატიურზე, «რევოლუციურზე» და სხ... ერთ და იმავე შავი მიზნის მისაღწევათ. და რაკი მიღებულია, მოსკოვის დიპლომატიკა ნიადაგი ზომიერათ ხვედრიანა, მოსკოვის დაქირავებულებივ ცთილობენ საბჭოთა წყობილება მემარჯვენეებს ზომიერების ნიმუშათ დაუსახზონ, ის მათ მოაწონონ. ამისთვის არსებობს ყალბი სტატისტიკა, დიაგრამები საბჭოთა მთავრობის უდიდეს «მიღწევების». უნდა ითქვას, რომ რუსეთის მთავრობის «მეცნიერებს» ბადალი არ ყავთ: მათ მართლაც უმაღლეს წერტილზე მიიყვანეს გაყალბების «მეცნიერება»! რომელი დარგი გნებავთ, აიღეთ: მრეწველობა და საწარმოო ძალთა აღორძინება; ქარხნე-ფაბრიკების სპიკენურათ მოწყობა, სტრუქტურული დახლვევა, მფარველობა-უზრუნველყოფა ბავშვთა და მშობიარეთა



და სხ., ყველა ნაწილში ბოლშევიკები. მათივე სტატისტიკის ძალით, კაცობრიობის მოწინავე რაზმს წარმოადგენენ! ასე გასინჯეთ, რომ მათი მილიტარიზმი და აუარება ჯარი, რომელიც საბჭოთა კავშირში მომუშავედულ ერებს ანიჭებს ნივთიერათ და უსაშინელებსაჲთ ჩაგრავს პოლიტიკურათ, ემსახურება თურმე მხოლოდ მშვიდობიანობას, თურმე მხოლოდ პაციფიზმს მოასწავებს! მათი სამხედრო პაეროპლანების და საწამლავი გაზის დანიშნულება ყოფილა «მხოლოდ ყანებში კალიების შემოსევის წინამდევ ბრძოლა» (ასე სწერს ერთ ერთ საპროპაგანდო სტატიათაგანში ადგილობრივი გაზ. «ტრაგია»)!

მოსკოვის დამქაშებს მუშაობა დაყოფილი აქვთ ორ უმთავრეს ნაწილათ: სოციალისტურ წრეებში, მუშებში სამოქმედოთ ცალკე ორგანიზაციები აქვთ და ბურჟუაზიულში კიდევ ცალკე. მუშებთან—ისინი არიან წმინდა, უმანკო სოციალისტები, სოციალისტურ პარტიას კრიტიკას უკეთებენ. მას სოციალიზმს უწუნებენ. რამდენიმე წლის წინათ მათ შექმნეს სხვადასხვა სახელწოდებით მრავალი ორგანიზაცია («მუშათა გვარდია», «ინტერნაციონალური წითელი დახმარება» და სხ.).

შვეიცარიის სოციალისტურმა პარტიამ ადრე შეამჩნია, რომ ისინი ხრწნიდენ მუშებს და ზოგი სოციალისტებიც გადბირიეს. ამიტომ მან აღუკრძალა ყველა თავის წევრებს ამ ორგანიზაციებში შესვლა და აგრეთვე საერთო გამოსვლა კომუნისტურ პარტიასთან. ზოგმა სოციალისტებმა, იგრძნეს, თუ რა საშიშროება მოელოდათ მათ აკრძალვის დარღვევისათვის (ისიცაა, რომ პარტიიდან გაგდებულთ მოსკოვისთვისაც დაეკარგებოდათ ფასი), მიმართეს სხვა ხერხს: შექმნეს ანტიფაშისტური საერთო ფორმტი. ეს როლი უმთავრესათ ეწვევლებმა იკისრეს. მართლაც დაარსდა ეწინააღმდეგეთ «ანტიფაშისტური კავშირი», სადაც შედიან ამ ვითომდა სოციალისტებთან ერთად კომუნისტებიც. ნამდვილათ ეს მოსკოვის ნაკარნახებია. რაც შვეიც. სოც. პარტიას ხშირათ ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს (მაგ. გაზეთებმა გამოამქდანეს ამას წინათ, რომ ბერლინის ანტიფაშისტურ კონგრესზე დასასწრებლათ ამ ორგანიზაციისაგან არჩეული სოციალისტი ნიკოლი იძულებული იყო მანდატზე უარი ეთქვა, რადგან შვეიც. სოც. პარტიამ ულტიმატუმი დაუყენა მას: თუ ის წავიდოდა ბერლინში, პარტიიდან გარიცხული იქნებოდა. გაზეთები დასძინდენ, რომ სოც. ინტერნაციონალის მდივანი ადლერიც ჩაერია ამ საქმეში, რომ აქედლებით ნიკოლი ბერლინში არ წასულიყო. ნიკოლმა ეს ცნობა დაადასტურა საპასუხო პარტიულ წერილში). მათ შექმნეს აგრეთვე ორი ბოლშევიკური ორგანიზაცია—ერთი ეწინააღმდეგეთ, მეორე ლოზანაში—«მონდის» მეგობრების სახელით («მონდა»—კომუნისტ ბარბიუსის ეურნალია).

ბურჟუაზიულ წრეებში სამუშევრათ იმავე მოსკოვის დაქირავებულებმა შექმნეს ოთხი წლის წინათ «საზოგადოება თანამედროვე რუსეთის დოკუმენტალურ შესწავლისა». მეტია თქმა იმისი, რომ ნამდვილათ ეს საზოგადოება ბოლშევიკური საპროპაგანდო ორგანიზაციაა, მარა ამ უკანასკნელ ხანებამ-

დის ინტელიგენტებს ატყუილებდა ასეთი სახელწოდება. უდიდესი აქტი ამ საზოგადოებისა—და ალბათ უკანასკნელიც, ვინაიდან ამის გამო საქვეყნოთ გამოქვანდა, რომ ეს ბოლშევიკების საპროპაგანდო ორგანიზაციაა—არის მის მიერ მოწყობილი გამოფენა ეწინააღმდეგეთ დარბაზში. ეს გამოფენა, რომლის პატრონები არიან შემოხსენებული საზოგადოება, რუსეთის წითელი ჯვარი» და «წითელი მთვარე», გაიხსნა 22 მარტს (დაიხურა 6 აპრილს). გახსნისას რუბაკინი, როგორც «მეცნიერების» დიდი ოსტატი, შეეცადა ობიექტივობის შთაბეჭდილება მოეხდინა. მართლაც რეპორტაჟებმა ასეც აღნიშნეს პირველი დღის. მარა ეწინააღმდეგეთ საზოგადოებას ასეთი დიდი ოსტატიც, როგორც რუბაკინია, ვერ მოატყუილებს. კამპანია ამ გამოფენის და მისი ორგანიზატორების წინამდევ დღითი დღე ძლიერდება. გამოსთქვამენ საყვედურებს რატომ დართო მთავრობამ ნება ბოლშევიკურ საპროპაგანდო გამოფენისა. მთავრობა ნიშნათ ბოდიშის მოხდისა განმარტებებს იძლევა, რომ ის კარგად უთვალყურებს, რომ გამოფენა ვერავის ვერ შეიყვანს შეცდომაშიო. საზოგადო აზროვნება კი სულ უფრო და უფრო ბრანზმორეულია. გამოქვეყნდა საპროტესტო რეზოლუციები გამოფენის წინამდევ, რაც მაჩვენებელია მთავრობისთვის. რომ მომავალში არავითარი საბჭოთა საპროპაგანდო გამოსვლა არ დაუშვას.

ამ წერილში ჩვენ გვიანტერესებს უმთავრესათ ეგრეთ წოდებული «წითელი შეხვედრა», რომელიც კომუნისტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ შვეიცარიის იტალიურ კანტონში, ქალაქ ტესენში მოწყობათ. ეს უნდა ყოფილიყო დიდი ანტიფაშისტური დემონსტრაცია თვით იტალიის სახლვარზე, საითკენაც ერთი დღის წინ შვეიცარიის ყველა კუთხიდან დიდი ზეიმით, ბოლშევიკურ ბაირალებით ხელში და სიმღერით გასწევდენ შვეიცარიის კომუნისტები. დემონსტრაციასი მონაწილეობას მიიღებდენ სხვა ქვეყნის კომუნისტებიც. ცხადია, ბრძანება ასეთი დემონსტრაციის მოწყობისა მოსკოვიდან ჰქონდათ მიღებული. თვით არჩევა სადემონსტრაციო ადგილის ექვსი არ სტოვებს იმაში, რომ მათი ანგარიშით იტალია არ მოითმენდა ამას, რის შედეგაც გართულება უნდა ყოფილიყო შვეიცარიისათ. მარა შვეიცარიის მთავრობამ აკრძალა განზრახული დემონსტრაცია. კომუნისტებმა გამოაცხადეს დიდი სიხარულით, მთავრობის აკრძალვას ანგარიშს არ გიუწყეთ და დემონსტრაციას მაინც მოვახდენთო. მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები, რაც კომუნისტების ტესენში შეკრებას შეუძლებლათ ხდიდა. ამაზე კომუნისტებმა უპასუხეს, დემონსტრაციას მაინც მოვახდენთო და დანიშნეს შეხვედრის ადგილათ ბაზელი, რომელიც გერმანიის და საფრანგეთის საზღვრებზე მდებარეობს, რაც უცხოელ კომუნისტებს გაუადვილებდა მონაწილეობის მიღებას. მთავრობამ ესეც აკრძალა. კომუნისტებმა განაგრძეს თავიანთი ყბედობა, ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანაში ხელს ვერავინ შეგვიშლის. შვეიცარიებით მიუხედავათ ყოველი დაბრკოლებებისაო. მთავრობამ მოახდინა განკარგულება დემონსტრაციას ადგილი არ ჰქონდა. დაი-

ჭირეს სხვადასხვა ქალაქების სადგურებზე რამდენიმე კომუნისტი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ. 23 მარტს, ბაზელში მიემგზავრებოდნენ. თვით ბაზელში ზომები იქნა მიღებული, არავითარ დემონსტრაციას ადგილი არ ჰქონდა და მართლაც იქ არაფერიც არ მომხდარა.

კომუნისტების ტრაზანმა მეტად კომიკური შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადო აზროვნებაზე. ბევრმა სასაცილოთაც აიღო. მაგრამ დიდმა უმრავლესობამ შვეიცარიის მოქალაქეთა მოიწონა მთავრობისაგან მიღებული ზომები.

დამახასიათებელია ის, რომ ციურისის კომუნისტებმა მთავრობისაგან მიღებულ ზომების წინააღმდეგ საპროტესტო კრება გამართეს კვირას, 24 მარტს, მოახდინეს ქუჩებში დემონსტრაცია და ჩამტვრიეს ფანჯრები... სოციალისტური გაზეთი «ფოლკსრეხტ»-ისა! ამავე საღამოს შეიკრიბა ციურისის კანტონის ცენტრალური კომიტეტი სოციალისტური პარტიისა და გამოიტანა რეზოლუცია. სადაც სასტიკათ დაგმობლია კომუნისტების საქციელი, «რომელსაც არავითარი საერთო—ამბობს რეზოლუცია—არ აქვს პროლეტარულ პოლიტიკასთან და მუშათა ინტერესების დაცვასთან: როგორც ყველა სხვა ქვეყნებში, კომუნისტები შვეიცარიაში არიან რევოლუციის შიკრიკები; მათ იციან აკრძალვა და მიღებული ზომები და განზრახ პროვოკაციას უწყვეტ მთავრობას». ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშათა კლასს, წინააღმდეგ კომუნისტების დამღუპველ პოლიტიკას, რომელიც სახელს უტეხს ციურისის პროლეტარიატის საქმეს. რეზოლუცია აღნიშნავს აგრეთვე, რომ ზემო მოხსენებულ კრებას კომუნისტებისას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. აქედან ის დასკვნა გამოაქვს, რომ ციურისის პროლეტარიატს არაფერი საერთო არ აქვს კომუნისტებთან.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე შვეიცარიის სოციალ. პარტიის ცენტრალური ორგანოს «ტაგვახტის» აზრი ამ ამბების შესახებ მით უმეტეს, რომ ის უფრო შემარცხენე ფრთას ეკუთვნის, რუსეთის საკითხში იშვიათათ სწერს და ყოველ შემთხვევაში ბოლშევიკებისადმი ძვირის თქმას ერიდება. აი რას

ამბობს: «ომი ფაზისმს», ამბობდა—სწერს «ტაგვახტი»—კომუნისტური მოწოდება. არასოდეს მუშები, რომლებიც კიდევ მოძებნებიან ამ პარტიის მომხრეთა შორის, ასე დიდად მოტყუებული არ ყოფილან. მოსკოვს არც ერთ ქვეყანასთან არა აქვს უკეთესი განწყობილება ვიდრე მუსოლინის იტალიასთან. პოლიტიკური და ეკონომიური განწყობილებები მშვენიერია სტალინის დიპლომატიასა და ფაშისმის აგენტებს შორის. და სწორეთ ამ დროს გვეპატიებებიან გაკოტრებული ბელადები ბაზელის კომუნისტებისა მუსოლინის საწინააღმდეგო საღვთო ომში, მიუხედავთ ამ კარგ განწყობილებებისა მოსკოვსა და მუსოლინს შორის!—ამ თამაშს რაღაც აკლია. კომუნისტებმა გაუწიეს შვეიცარიის მუშათა კლასს—დასძენს ეს გაზეთი—ისეთი სამსახური, რომელიც არ განირჩევა ჯანსუღის გამცემლობისაგან და არც ბურჟუაზიისაგან დაქირაობულ პროვოკატორების ხრიკებისაგან».

როგორც ზევით შევნიშნეთ, მოსკოვის მთავრობის პოლიტიკა, დიდი ხნის მზადების და ძალთა მობილინაციის შემდეგ აქტიურათ ჩაება შვეიცარიაში ბრძოლაში ორ ფრონტზე: ბურჟუაზიულ წრეებში პოზიციების დასაკავებლათ და მუშათა ფენებში კომუნისტურ გავლენის გასაფართოებლათ. ბურჟუაზიულ წრეებში მის პოლიტიკას სავსებით ნიღაბი აეხადა და ძველი პოზიციებიც დაეკარგა. შვეიცარიის კომუნისტური პარტია, გადიდების და გამაგრების მაგიერ, მოსკოვის გზაზე დააყენა. შვეიცარიის სოციალისტურ პარტიაზე მიტანილი გახრწნის იერიში მოგვრებულ იქნა, საიდანაც სოციალ. პარტია გამოდის მორალურათ გაჯანსაღებული. თუ კიდევ ზოგი დაბრკოლება წინ ელოდება ამას, ეჭვი არაა ესეც დაძლეული იქნება და სოც. პარტია თავის წინაწინააღმდეგობას სავსებით აღადგენს. ამ ნაირათ მოსკოვი ორივე ფრონტზე სამარცხვინოთ დამარცხდა. ამ დამარცხებას ბევრათ მეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის მიერ საერთაშორისო პოლიტიკისათვის. ვინემ ჩვენ ეს პირველი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს.

საოიტენ შავიშვილი.

ქენევა, 2 აპრ. 29 წ.

ს უ რ ის ს კ ა ნ დ ა ლ ი

საბჭოთა პრესაში ატეხილი განგაში კრილოვის ცალიერი ბოქსის ხმაურობას მოგვგონებს. მართლაც, როცა კომპარტიის ბნელ საქმეებს ცხოვრება მოულოდნელათ გამოამხეურებს, მაშინ სიტყვების კორიანტელს დააყენებენ და გულუბრყვილობა მოსატყუებლათ წარმოდგენით სიმდიდრის განაწილებაზე თავს შეიწუხებენ. ესლაც ასეა. ნადავლი ძლივს და ეყო ჯალათების შტატის შენახვას და ბოლშევიკური წოდების ჩაპურებას; დაილია თუ არა ნადავლი, საბჭოთა სნეულ აპარატსაც საღვრელი აეშალა. მართალია, საბჭოთა ოლიმპზე ჯერ საქმაო სიუხვევა, მაგრამ მრავალი მილიონი მოსახლეობა, რომელიც ბედის უკუღმართობამ საბჭოთა კავშირად

წოდებულ რუსის კანარმის გულის ამრევ ატმოსფერაში მოაქცია, ჯერ ისევ სამხედრო კომუნისტების უღელ ქვეშ იმყოფება იმ განსხვავებით, რომ მაშინ უღელი ხისა იყო, ახლა კი რკინისაა.

დაიწყო ქრონიკული სიმპილი. ნორმალური კვება ანაქრონიზმით გადაიქცა, თან მაძრად უნდა წარმოიდგინო თავი, თორემ დაისჯები. ამ უპრესპექტივო ადამიანის ცნობიერების ფონი ისევ მოიბინდა და იმ ბნელ ფონზე ერთი უმაღლესი იდეალია: პური. შეიძლება ხალხის კოლექტიური ცნობიერება მომზადდეს ძლიერ დიდი მსხვერპლის გასაღებათ, როცა ამას ქვეყნის უმაღლესი ინტერესები მოითხოვს. მაგრამ ვისი ინტერესი მოითხოვს, რომ პოლიტიკი-

დან განდევნილმა ხალხმა ჭრელი დაპირებით თავი მოიტყუილოს ანუ ხორცი დასთმოს სულისათვის, როცა ხედავს, რომ არც ერთი კომუნისტი მუცელს არ აქორებს, როცა განიცდის, რომ საბჭოთა ედემი მარტო სხეულის კი არა, სულის საპყრობილევაცა? კომუნისტების ოჯახში დამყარებული თავისუფლება მეწყერზე მოქცეული კაცის თავისუფლება; კომპარტიის მთლიანობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნატეხებიდან შეკრული ნაჭუჭისა; სამეურნეო სკანდალიც ამიტომაც დღეს ყველაზე უფრო სასიფათოა. ჯერ იყო და პურის ექსპორტზე მთელი თეორიები ააშენეს, დაკრეს ნაღარა და ევროპის ბაზარზე ვალიუტით სავსე ქისებთან გუნდრუკი აკმევს. მაგრამ იყო კი რუსეთიდან რამე გასატანი? რა იქნა ის ჯადოქარი მწე, რომელსაც ცარიელი ბელებიდან პურით სავსე ტომრები უნდა გამოეფრინა, ევროპის საკუჭნაოც აეგვო და სოვეტებისაც? წავიდენ დროები და პურის დამწადების რომანტიკიდან გაპქრაპა პეროვანი კოცნის მოგონებაც კი. იმ ჯადოქარ მგესაც ჯამბაზობა წაუხდა და თავის ხაზენებს უჩვენა... სამი თითის კომბინაცია. მაგრამ საბჭოთა ენუქა ძველი ჩარჩოა და შუბლს არ იტყვის: წყალს თუ ღვინოს ვერ შესცვლის, ღვინო-ნარეგ წყალს ღვინის ეტიკეტით გაუშვებს და თავის საიმედო «დუშეპრიკაშიკითა» არმიას შაქარლამას არ გამოუღვევს. ამ საიმედოთა რიცხვი ძლიერ მცირეა. ყველა სხვებისათვის უკვე დაილია პური, შაქარი, ერბო და სხვა კვების პროდუქტები. განთიადიდანვე მალაჩიებთან იწყება რიგები, ხელცარიელი იშლება, ისევ იწყება. და ეს თურმე სრულიად არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ საბჭოთა ქვეყანა სამოთხეა. დიახ, სამოთხეა, რადგან მასში მხოლოდ სამი-ოთხი ბედნიერი. საკუთარი ლეშით დამიმებული, უსუფთო სორციელი ვნებისაგან აზრ-მიბნედილი წითელი ბალთაზარი და მისი მუცლით მხოლავი ამაღა, რომელსაც თავი ქვეყნის მხსნელათ მოაქვს, თან ისე-ვეერ იცოცხლებს, თუ შური არ ჩაისუნთქა და ბოლშა არ გადმოაჩინოს, — ი ეს ორფეხა პირუტყვები მდიდრული სამგზავრო ბალდახინზე განისვენებენ და არაკჩევეის მათრახით ერეკებიან იმ მშრომელ ხალხს, რომლის დასერილ მხრებზე ის მდიდრული ბალდახინი დაყრდნობილია. ზევით ფუფუნებაა, გარყვნილებად გადაქცეული, რომელშიაც არეულია მიივების კრიალი, მრუშობა, ერმანეთზე ღრენა და სავსე თასების ერთიმეორის პირზე მიტანა. ქვევით მონობაა, ლენინის მაღლით და მიორნით კურთხეული, სადაც ტვირთში გამბულია ყველა ასაკის ქალი და კაცი. ნელა აწევება ეს პროცესია საბჭოთა ცხოვრების უკანასკნელ აღმართს, რომლის იქით გადაშლილია ახალი ცხოვრების ცისკროვანი პორიზონტი. საბჭოთა ოქროპირები ამ უსამართლობის სურათს ჩალითა და ფუჩეჩით ფარავენ. დღეს მხოლოდ საბჭოთა სამოთხეშია, რომ პური ენატრება ადამიანს და მისი უცაბელი გამოლევის შიშით კანკალებს. საბჭოთა პრესა კი (23 თებერვლის «კომუნისტი») დიდობას მოგვაჩვენოს, რომ ქვეყანას ჩიტის რძეც არ აკლია და სასურსათო კრახი მხოლოდ გაუგებრობაა. დიახ, გაუგებრობა ედო საფუძვლად, საბჭოთა მომარაგების სისტემას და სამეურ-

ნეო პოლიტიკას, რამაც, ეშმაკთა და კუდიანთა ჩაუტრეველათ, სრულიად ბუნებრივად მიიყვანა საბჭოთა ეკონომიკა დღევანდელ ყოფამდე. იმის მომიჯნება რომ მომხმარებელის ცნობიერება დაეჩვიო ილიუზიას, ან ისა რომ ქალაქიდან ბევრი გამომცხვარი პური გააქვთ და ქალაქი იმიტომ იმშვევო, საბჭოთა გლახა ეშმაკობის უგლახესი ნიმუშია და მისი სქოლასტიკის უსუსურობას ააშკარავებს. რამ დააჩვიო მომხმარებლის ცნობიერება ილიუზიას, რა გვრის მას ხვალინდელი დღის შიშს? — არსებული კრიზისი. თუ ქალაქიდან ბევრი პური გაიტანეს, იქ, სადაც გაიტანეს, დიდი საჭიროება ყოფილა, თუ დიდი სიუხვე? მეტმედ. როგორ ხდება რომ ქალაქი აპურებს სოფელს და ისიც მეურნეობის ქვეყანაში, როცა უკუღმა უნდა იყოს? ყოველივე საკითხი საბჭოთა ბედაურმა ხალხმა ყირაზე უნდა დააყენოს, ეს მას ორიგინალობათ მიანიჩია. თავის საცოდვე თეორიას საბჭოთა პრესამ დაუმატა კიდევ ერთი დაბალი ხარისხის იშკალბაზობა: — გამომცხვარ პურს, როგორც იაფს, შინაური ცხოველების საკვებათ ხმარობენ და ამით ხელოვნურად ამწვავებენ ბაზრის მდგომარეობას. თურმე ნუ იტყვიოთ, საბჭოთა ბაზარი იმდენათ ურყევი ყოფილა, რომ მის შესარყევად საჭირო გამხდარა, რომ პირუტყვებსაც გამომცხვარი პურის ჭამა დაუწყიათ. ვინ მზაკვარმა გაბედა ცხოველების პურის დიეტაზე გადაყვანა, ისიც უპურობის დროს, ერთი ტაშის დაკვირით? აფსუს რომ მაგზოლეის ბინადარი ფეხზე არაა, თორემ რა სიადვილვით დაამტკიცებდა, რომ თივა პურზე უფრო იაფია!

საბჭოთა ედემში პურის წიგნაკები უკვე შემოღებულია და აწი ვინლა გაბედავს, ბოლშევიკური სოციალიზმის სიკარგეში ეჭვის შეტანას. თვით ამ წიგნაკების სისტემას საბჭოთა ტალანტის ბეჭედი აჩის. მომხმარებელთა მასა წარმოდგენილია როგორც ერთფეროვანი, უსულო მექანიზმების გროვო; დაყოფილია «როტებათ» და ჰკარგავს დღიურ კერძს, თუ თავის «როტას» გასცილდა. პურის ბარათი განდა ფეტიში, რომელმაც საბჭოთა ეკონომიკაში სასწაული უნდა მოახდინოს, ე. ი. უგუნური ეკონომიური პოლიტიკის წყალი უცბათ ღვინოდ აქციოს, ხალხს პატრონის არსებობა აგრძობინოს და პურმარლი დაალოცვინოს.

თუ სოფლიდან ქალაქში ჩადი, სპეციალური კვების პუნქტი უნდა მონახო. სადაც გიბომებენ წყალობის პურს, როცა ორმაგ ფასს გადაიხდი. ცალკე გამოყოფილია ე. წ. არამშრომელთა ანუ ყოფილ ბურჟუათა კატეგორია, რომელშიაც შეიძლება მოხდეს ლატაკიც, თუ ლენინის ბნელი კულტით თავი არ გამოილაყა და ბოლშევიკური წოდების კაცს რამე აწყინა. ამათვის იქნება სპეციალური პურის გამსაღებელი პუნქტები, სადაც ჩეკისტის თვალის იმუშავებს და წითელი ბაცაციც ფულის კალოში ჩაიფლება.


პამპულაობის მეგობარი ქარფშუტობაა. ამიტომაც, რომ ბოლშევიკების 11 წ. ყოყობა მათი გამოტყინებით თავდება. ამ გამოტყინების ნიშანი პურის ბარათის შემოღება არ არის, რა თქმა უნდა, არამედ ის, რომ აღარ შეუძლიათ ელემენტარული თადარი-



გის დაქვრა და «სოციალიზმის» II წელში ისევ ღობე ყორეს ედებიან. სოციალური ქვეშაობა, რომლის ძიებისათვის მთავარა პირობაა მაღალი იდეალიზმი და სულიერი მხედველობის სიფაქიზე, პოლიტიკური ფანატიკოსისათვის მარადის უცხო და მიუწდომელი რჩება.

ბედი დიქტატურისა ცნობილია: მანე. ტყეველ ფარეს!

o.



### რას სწავრენ ბოლშევიკებზე

ავსტრიელი სოციალისტი ადლერი, რომელსაც ბოლშევიზმის მტრობას მაინცა და მაინც ვერაინ დასწამებს, ასეთის მწარე სიტყვებით ახასიათებს კომუნისტების ბატონობის შედეგს: «იმ სოციალისტებისათვის, რომლებიც ლენინის წინამდევნი იყვნენ 1917 წ. ოკტომბერში და საერთოდ ყველა სოციალისტებისათვის, რომელთაც ისტორიის გაგების უნარი აქვთ.—დღეს ადვილია იმის დადასტურება, რომ მუშათა მოძრაობა მთელს დედამიწაზე 1929 წელს გაცილებით დაწინაურებული იქნებოდა, ბოლშევიკების დიქტატურას ადგილი რომ არ ჰქონოდა რუსეთში. ხოლო ლენინის მიმდევრებისა და თანაგრძობთათვის ამის აღსარება მეტისმეტად სამიიმო საქმეა. დღემდის მხოლოდ რამდენიმე განცალკევებულმა კომუნისტმა გამოიჩინა ამგვარი გამბედაობა. ის საკითხები, რომლებიც წარმოშვა ამ დიდმა შეცდომამ რუსეთის მომავლისათვის, დღითი დღე უფრო საგრძობნი და საშიშნი ხდებიან და იწვევენ განხეთქილებას ყველგან ბოლშევიზმის მომხრეთა შორის».

თუ საბჭოთა სამეფოში საყოველთაო გაქირვება და დიდი ეკონომიური კრიზისი, თუ კომპარტიკაში შეურიგებელი გამწვავება და უთანხმოება, თუ უცხოელ კომუნისტებში სრული დაშლა და დარღვევა და მსოფლიო დემოკრატიაში და მემარცხენე წრეებში ბოლშევიზმი იწვევს უფრო და უფრო უნდობლობას და უკმაყოფილებას. სამაგიეროდ დიდის ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობიან ბოლშევიკებს რეაქციონერები და ფაშისტურად განწყობილი ჯგუფები. ამ მხრით მეტად საყურადღებოა ბოლშევიკების და გერმანელ ნაციონალისტების და მილიტარისტების დამოკიდებულება. მათი მეგობრობა ძველი ამბავია. ხოლო გაზეთ «მატენ»-ის სიტყვით ეს დაახლოვება კიდევ უფრო გაძლიერდა და გაცხოველდა ბოლო დროს. საბჭოების მთავრობა უთვალავ ფულს ხარჯავს დღეს გერმანიაში მემარჯვენე წრეების მოსამხრობად და იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ გერმანიის ერთადერთი ხსნა რუსეთ-გერმანიის სამხედრო კავშირშია. ბოლშევიკების ფულით იმართება მოხსენებები, კონცერტები, სინემას წარმოდგენები, გამოფენები იმის სადემონსტრაციოთ, რომ რუსეთში ყოველგვარი სიმდიდრეა, რომ რუსეთი ყვავის და სრულ წარმატებაშია. გაზეთი «მატენ» დასძენს ამას: «ხალხის ფართო მასა ბოლშე-

ვიკების პროპაგანდას სრულებით უყურადღებო სტოვებს და ამის მთავარი მიზეზი უქველად ისაა, რომ მუშებს საუცხოვო ორგანიზაციები აქვთ და ისინი ემორჩილებიან სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც კომუნისტების შეურიგებელი მტერია. ხოლო ყოფილი აფიცრები, უკლასონი, უკმაყოფილონი ხელს უწყობენ ბოლშევიკების პროპაგანდას, ნდობით ეპყრობიან მათ დაპირებებს და ოცნებობენ რუსეთ-გერმანიის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირზე».

### ჩეკა პარიზში.

ანტვერპენის გაზეთის «ნეტუნის» პარიზელ თანამშრომლის სიტყვით, პარიზში არსებობს ფართოდ მოწყობილი ბოლშევიკური ჩეკა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვინმე როზენსკი და რომელიც შესდგება თორმეტის რაზმისაგან. პირველი რაზმის (მისი უფროსია გიორგი ბოლჩენკო) დანიშნულებაა—თვალყური ადევნოს რუსს, უკრაინელ, ქართველ და სხვა ემიგრანტებს, გაეცნოს მათ აზრებს და მუშაობას.

ჩეკისტები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ხვდებიან შემდეგ კაფეებში: კაფე «დე მაგო» (სენ-ჟერმენის ეკლესიის პირდაპირ), კაფე «ბიარ» (ოპერასთან), კაფე «მადრიდ» (დიდ ბულვარებზე), კაფე «ლასურს» (სენ-მიშელის ბულვ.), კაფე «ლე კადრან ბლე» (გარ დე-ლესთან), კაფე «პიერო» (პიგალზე), «კლოზერი დე-ლილა» (ობსერვატორიასთან).

### წმილი რედაქციის მიმართ

(პარიზის ქართული მართმადიდებელი საზოგადოების მოწოდების გამო).

დიდის ინტერესით და კმაყოფილებით წავიკითხე პარიზში შემდგარი ქართული მართმადიდებელი კომიტეტის მოწოდება მრევლის დაარსებისათვის. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ამ განძობის განაარსებას ისტორიული მნიშვნელობა მიეცემა. ამასთანავე ეს გარემოება ერთგვარად ხელსშეუწყობს ჩვენი ავტოკეფალი ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას სწორეთ აქ—საზღვარ-გარეთ—სადაც, როგორც ცნობილია, მრავალნი არამკითხენი ცდასა და ჯაფას არ ერიდებიან, რათა საქართველოს ეკლესიის აწინდელი სახეობა მოაჩვენონ, ვისაც ჯერარს, როგორც ამბობნი და საეკლესიო კანონთა შემმუსვრელი მოვლენა. ახლად აღდგენილ ეკლესიისათვის ეს გარემოება უსათუოდ ვნების მომტანია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საზღვარგარეთის საეკლესიო წრეებში, განსაკუთრებით კათოლიკობაში, დიდის ნდობით ეპყრობიან რუსულ საეკლესიო და საზოგადოთ სარწმუნოებრივ ორგანოთა ცნობებს. თვით ჩვენი ეკლესია-კი ისეთს დაწყველილ პარობებშია მომწყვდეული, რომ მის ხელმძღვანელთათვის ერთავად შეუძლებელი არის აშკარა ბრძოლის მიღება ქართული ეკლესიის ძირითად საკითხთა ირგვლივ.

ნათქვამიდან უკვე ცხადი ხდება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ევროპის ცენტრში ქართული

რელიგიური ცენტრის დაარსებისა. ეს იქნება შექმნილ გარემოებათა ძალით ისეთი ავტორიტეტული დაწესებულება, რომელიც ბუნებრივად მიიღებს თავის თავზე საქართველოს, ეკლესიის ასე ვთქვათ, იურიცხოსულტობას, მიიცივს სათანადო შემთხვევებში განმარტებებს, განაბნევს გადამახინჯებულსა და ყალბ იმფორმაციას ჩვენს საეკლესიო საქმეთა თაობაზე, დამხმარე ფაქტორადა და მრჩევლად აღმოუდგება საქართველოს მთავრობის ორგანოებს კონფესიული საკითხების განხილვაში.

ამისა გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ განათლებული კაცობრიობის ცხოვრებაში ბოლო დროს ადადგილი აქვთ ისეთი ჯურის მოვლენებს, როცა სავალდებულო ხდება ქართული ეკლესიის ხმის მიცემა; ხშირია მაგალითად სხვადასხვა ეკლესიათა წარმომადგენლების ყრილობები და კონფერენციები საქრისტიანო ეკლესიათა დაახლოვებისა და შეერთებისათვის—ასეთი შესდგა უკანასკნელ წლებში სტოკჰოლმში, ვენაში, ლონდონში, ლოზანაში. თავის თავად ცხადია, ჩვენი სიტყვა უფრო მოსასმენი და ყურადსაღები იქნება, როცა მისი მთქმელი, ან წარმდგენი ზურგგამაგრებული იქნება...

წინამდებარე საკითხი მნიშვნელოვანი არის ეროვნული თვალსაზრისითაც: ყველასათვის მისახვედრია, რომ ეხლანდელი მრავალრიცხოვანი ემიგრაციის თვალსაჩინო ნაწილი საქირიანების თავის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას—თავის ენაზე, თავს საკუთარ მოძღვრის მეოხებით, თავის საყდარში. თუ ლათინურ «უნივერსალიზმზე» აღზრდილისათვის ეს ამბავი ლოდიკურ არგუმენტს მოკლებულია, ჩვენთვის, რომელთაც განსხვავებული ხანგრძლივი ისტორიული სკოლა გვაქვს გამოვლილი, ესავე მოვლენა აღსავსე არის ღრმა პაზრი-თა და შინაარსით!

ჩვენა გვაქვს უმდიდრესი ენა, ყოვლად საპატიო ლიტურგიულ ენათა შორის. დაუწუნარი და უუძველესი—ჩვენი სასოებისა, ვედრებისა, სიხარულისა, რისხვისა, თუ გოდების გამომთქმელი უხსოვარ ეამთავან. ამ ენას აწიხათ ინახავდა ქართველობა! ეს თავისი საუნჯე მან რაოდენ ხიფათსა და საშიშროებას გამოაშორა, რაოდენი გარჯა და მუყაითობა დასჭირდა შეურყენელობის დასაცავად! და ამას პაზრი არც თუ დღეს დაპკარგვია: ბარბაროსული ძალისუფლების წაქეზებით ჩვენი ენა რუსული მოუხეშავი ბარბაროიზმებით მახინჯდება! ხოლო ქართულ ენას ხიფათი მოელო აქაც. გადმოხვეწილთა შორის, სადაც ყრმები და მოსწავლე-ახალგაზრდობა, მოწყვეტილნი სამშობლო ნიადგს, თანდათანობით ივიწყებენ დედაენას! საღამო ეამისა, წირვისა, თუ ებრვე სხვა ღვთისმსახურების მოსმენა კარგ ლექციებს აღემატება ქართულის გადმოშლით! «ვეფხისტყაოსანი» ამ ენით არის მოქარგული, აქ მიმოფანტული არის მთელი სიმდიდრე და განუსაზღვრელობა ქართული კილოყავების! ეამნი და სახარება ქვაკუთხედი ქართული ენის მიხედრისა და ჩაწდომისათვის...

გარნა თავიდათავი მიზანი პარიზის კომიტეტის განზრახვისა არის სარწმუნოებრივი მხარე: შესაძლებლობის შექმნა საზოგადოებრივი ღვთისმსახურები-

სა და კერძო საეკლესიო წესების შესრულებისათვის. ეს ნაკლი ბევრს აღონებდა და მრავალ უხერხულობასაც იწვევდა. ამ მხრივ ქართველები სამწუხარო გამოწავლის წარმოადგენენ სხვა ხალხებთან შედარებით, რადგანაც ყველას მოეპოვება თავისი სარწმუნოებრივი კერა!

პარიზის კომიტეტის თაოსნობა არ უნდა დარჩეს გამოუხმურებელი: კარგ საქმეს გვერდში ამოდგომა და შეველა პმართებს.

დასასრულ ერთი შენიშვნა: მოწოდების ტექსტი გვეუბნება, რომ მომავალი ქართული სამრევლო მიიღოს თავის უმაღლეს მფარველობის ქვეშ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა. ჩემის პაზრით უმჯობესი იქნებოდა მიგვემართა უწინარეს ყოვლისა ანტიოქიის საპატრიარქოსათვის, რომელთანაც საქართველოს ეკლესია ისტორიულად დაკავშირებული იყო, ვითარცა სამწყსო და რომელის საკეთმპყრობელის ნომინალ ტიტულში დღესაც აღმოიკითხება ტერმინი—ივერია. ისე-კი მფარველნი და დამხმარენი, რათქმა უნდა, გვესაჭიროებდნენ სხვაგანაც...

პატივისცემით რაკვილ ინგილო.

რომი—მარტი.

წერილი სპარსეთიდან

სპარსეთი თუმცა მონარქიული ქვეყანაა, მაგრამ აქ რომ თავისუფლებაა, ასეთ თავისუფლებას რესპუბლიკანურ სახელმწიფოშიაც ვერ შეხვდებით. მართალია, ზოგიერთ ტომის დასამშვიდებლათ მთავრობა იძულებული იყო იარაღისათვის მიემართნა, მაგრამ ეს ძალა არ იყო მიმართული ხალხის წინააღმდეგ. პირიქით, ამ შემთხვევაში ხალხი, მასსა,—მთავრობის მხარეს იყო, რადგან მთავრობა არსებულ კანონს უმორჩილებდა იმ გამდგარ ფეოდალებს, რომელნიც არც მთავრობის წინ იხრიდნენ ქედს და არც ხალხს ინდობდნენ.

ამას წინათ რადაც უხილავმა ძალამ სპარსელი თურქმენები ააჯანყ მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ უეცრივ იქნა მშვიდობიანობა დამყარებული და წესწყობილება აღდგენილი.

დღეს კი ძველი რუსეთის ფარგლებში მობინადრე თურქმენები აუჯანყდნენ სპარსეთის მთავრობას, და როგორც ხმა დადის, საგრძნობი ძალაც დგას იარაღ ქვეშ, თითქმის რვა ათასი კარგათ შეიარაღებული მხედარი.

ტყვეთ ჩავარდნილ აჯანყებულ თურქმენთა შორის რამდენიმე გადაცემული რუსის კომუნისტები აღმოჩნდნენ, რამაც ნათლათ დაანახვა სპარსეთს, თუ ამ შემთხვევაში, ვისთან აქვთ საქმე მაგრამ გაზეთებში ხმას ჯერჯერობით არ იღებენ. ეს კია რომ ადგილობრივ სპარსელი კომუნისტები მთავრობამ ალაგმა და ამით ნიადგი მოუსპო რუს-კომუნისტებს საავიტაციო სფეროში; ამას მოყვა ბაქოელ გაზეთი «ბაკინსკი რაბოჩი»-ს ინსინუაციები სპარსეთის წინააღმდეგ.

გაზეთ «ირანი»-ს 2832-ში მოთივსებულია სია სპარსეთში მომუშავე ბოლშევიკების დაქირავებული ჯაშუშებისა, სადაც ჯაშუშობა გამოცხადებულია ადგილობრივი მცხოვრები ოჯახიმა სარქისიანცი. ეს პირი იმითაა საყურადღებო, რომ უწინ თურმე მესამე ხარისხის მხარეული ყოფილა და ამ უკანასკნელ ხანებში მალა საზოგადოებათა წრეში ამოყრა თავი, სახლში იღო პიანინო უდგას და მის დარბაზში სპარსელი წარჩინებული მოხელენი ხშირი სტუმრები იყვნენ.

ამ ოთხი წლის წინად ბოლშევიკების აგენტებმა თფილისიდან ჩამოიხილეს დიდ ძალი ქართული წიგნები, ოცი რვა-რვა ფუთიანი ყუთი სავსე და ჩაყარეს თეირანის ტორგპრედოს სარდაფში.

იმ ხანებში ხმა გაავრცელეს, ეს წიგნები და მასწავლებლები ისპანში უნდა გავაგზავნოთ იქაური ქართველებისათვის. ვითომც მასწავლებლის ძებნასაც შეუდგენ, მაგრამ არა საქართველოში, არამედ აქ სპარსეთში, სადაც გაკომუნისტებული ქართველი მასწავლებელი დიოგენის ფანრით ვერ მოიძებნებოდა. დღედის ეს წიგნები იქვე ყრია, სადაც ამ ოთხი წლის წინად ჩაყარეს, მაგრამ სანახევროთ დამპალი და სანახევროთ თავგების დაღრღნილი.

კვრისელო

ქართველები პარიზში.

მარტის 24 შესდგა საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების კრება. მოხდა გამგეობის არჩევნები. თავმჯდომარედ ნაცვლად ექ. ვ. დამბაშიძისა, რომელმაც უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე, არჩეულ იქმნა ერთხმად დავ. სხირტლაძე. გამგეობის წევრებად კრებამ აირჩია: აბდუშელი შ., ვაჩაძე დ., ჭავჭავაძე ივ., შარაძე ფ. კანდიდატებად: პ. თუმანიშვილი, იაკ. ხოჭოლავა, მ. ნიკოლაძისა და მ. სიამაშვილისა. სარევიზიო კომისიის წევრებად: კემულარია იოს., ხაჩანაშვილი იოს. და ხუნდაძე მის.

კრებამ დაავალა გამგეობას, რომ წესდება შესცვალოს იმგვარად, რომ გამგეობაში ირიცხებოდეს შვიდი წევრი და პირველი ორი კანდიდატი ჩასთვალოს ნამდვილ წევრებად. კრებამ მოიწონა ვ. დამბაშიძის შემოტანილი წინადადება საავადმყოფო და სხვა საურთიერთო დახმარების კასების მოწყობის შესახებ და ამისთვის ზრუნვა დააკისრა ახალ გამგეობას.



შალვა ბაქრაძე, გიორგი საბაშვილი და კალ. გუნია

1929 წ. 25 იანვარს, საღამოს 9 საათზე, გრენობლში (საფრანგეთი) რევოლუციით თავი მოიკლა ქართველმა სტუდენტმა შალვა ბაქრაძემ. ის სწავლობდა

ადგილობრივ კომერციულ სასწავლებელში, საიდანაც უსახსრობის გამო დათხოვნილ იქნა.

ამავე წელს, 17 მარტს, დილის 10 საათზე, სამართებლით ყელი გამოიჭრა გიორგი საბაშვილმა. სიცოცხლით სავსე 27 წლისა უკანასკნელ ხანებში ნეგროსტენიით იყო შეპყრობილი. როგორც ამბობენ, განსვენებულმა პირადი შრომის საშვლებით შეძლო სასწავლებელში შესვლა, რაც დაასრულა შარშან და მიიღო საამისო დიპლომი.

1929 წლის თებერვლის რიცხვებში, კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა ქართველი ლტოლვილი კალისტრატე გუნია. განსვენებული ჭლექით იყო ავადმყოფი. უკანასკნელთა საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. დიდი ხნის ნავადმყოფარ სხეულმა ვერ გაუძლო ოპერაციას და სამუდამოთ გაშორდა ამ ქვეყანას.

ს ა ჭ ი რ ღ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შემთხვევით ხელში ჩამივარდა კომუნისტების ჟურნალ «რევოლ. მატინეს» რამდენიმე ნომერი. ჟურნალი თავიდან ბოლომდე მოგაგონებს იმ მკვებრა ქოთანს, რომელიც ერთხელ ქოთნებში ჩამდგარიყო და იკვებოდა: «მე თქვენისთანა როდი ვარ, მე ოქროს ძირი მაქვსო»...

აი, ამ მკვებრა ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილია კ. ცინცაძის «ჩემი მოგონება», რომელიც სხვათა შორის სწერს: «ჩვენ მიერ ციმერვალდის რეზოლიუციების და მოწოდებების გავრცელება გაიკვს მენშევიკებმა, დაგვიბარეს (ამბავი შეეხება თვითმპყრობელობის დროს. გ. უ.) და გვიბარეს გრიშა ურატაძეს პირით, რომ თავი დაგვენებებია არალიგალური მუშაობისათვის. ერთ სოფელში, აცანაში, მენშევიკებს ჩაეგდოთ ხელში 15-20 ეკზემპლიარი, ჩაიტანეს ლანჩხუთში და დასწვეს ცეცხლში ურატაძის ბრძანებით!»..

ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე მოჭორილი ამბავია. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, და არც შეიძლება ყოფილიყო.

ასეთი ტყუილებით ქმნიან კომუნისტები თავის ისტორიას!

გრ. ურატაძე.

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა .

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის: პარიზში შეგროვილი ოქტომბრიდან 1928 წლ. 1 აპრილამდის 1929 წლისა ათას ცხრაას ოცი ფრანკი (1920 ფრ.).

Rédaction et Administration.  
M. J. GOBETCHIA  
7, rue de Ponthieu, 7. Paris.